DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Tvalchrelidze, Z. / თვალჭრელიძე, ზ.
- Title: Archaeological Momuments of the Gareja Desert: Monastery of St. John the Baptist
- Publication Date: 2010
- Publisher: Georgian National Museum; Gareja Studies Centre
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_792a7116b4

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

ზურაბ თვალჭრელიძე



გარეჯის მრავალთის არქეოლოგიური ძეგლები

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი

ZURAB TVALCHRELIDZE

ARCHAEOLOGICAL MONUMENTS OF THE GAREJA DESERT

MONASTERY OF ST. JOHN THE BAPTIST

Tbilisi
2010

IV-E
5210

ზურაბ თვალჭრელიძე

გარეჯის მრავალმთის არქეოლოგიური ძეგლები

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი



თბილისი
2010

UDC (უაკ) 726.5+904.72+479.22
თ-529
T-10



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum



გარეჯის კვლევის ცენტრი
Gareja Studies Centre

პირველი გამოცემა 2010

საავტორო უფლებები დაცულია

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოპირის გადაღებით და მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერით, არ შეიძლება გამოყენებულ ან გადაცემულ იქნას საავტორო უფლების მფლობელის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

First published in 2010

All rights reserved

No part of this publication may be reproduced or transmitted in any form or by any means electronic, mechanical, photocopying, recording or otherwise, without the prior permission of the publisher.

რედაქტორი: ზაზა სხირტლაძე

რეცენზენტი: გურამ ლორთქიფანიძე

© ზურაბ თვალჭრელიძე 2010
© Zurab Tvalchrelidze 2010

ISBN 978-9941-0-3044-4

დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი პრინტში“

წიგნი ეძღვნება მშობლების –
მარგალიტა გიორგობიანისა და
გრიგოლ თვალჭრელიძის
ხსოვნას



წინათქმა

საქართველოს ეროვნული მუზეუმი და მისი ძირძველი სტრუქტურული ერთეული — სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, გარეჯის კვლევის ცენტრთან ერთად იწყებს ისტორიკოს-არქეოლოგის, ზურაბ თვალჭრელიძის ნაშრომების სერიულ გამოცემას.

პუბლიკაციები მიეძღვნება გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების გამოქვაბული კომპლექსებისა და საქართველოს კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კერების ისტორიულ-არქეოლოგიური ასპექტით შესწავლის შედეგებს.

პირველი ეტაპის პუბლიკაციებში აისახება საქართველოს კლდეში ნაკვეთი მონასტრების არქეოლოგიური კვლევის შედეგები — განხილული იქნება სამონასტრო კერების სტრატიგრაფიული სურათი, არტეფაქტების ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაციის საკითხები, მოხდება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფონდებში დაცული კოლექციების სრული კატალოგიზაცია.

მეორე ეტაპის პუბლიკაციებში მონოგრაფიულად იქნება წარმოჩენილი გარეჯის მრავალმთისა და საქართველოს ისტორიულ პროვინციებში არქეოლოგიურად გამოკვლეული კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კერები. ნაშრომებში ისტორიულ-არქეოლოგიური ასპექტით შესწავლილი ქართული სამონასტრო ცხოვრების პრობლემები წარმოჩენილი იქნება თანაგვარ ძეგლებთან მიმართებით, შუა საუკუნეების საქართველოსა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ტრადიციათა ფონზე.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ქართული მონასტიციზმის ერთერთი უძველესი კერის – გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ზურაბ თვალჭრელიძის მიერ 1980- 2005 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში განხორციელებული მრავალწლიანი არქეოლოგიური კვლევის შედეგად, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის კლდის ძეგლების ფონდში დაგროვდა ვრცელი ქრონოლოგიური დიაპაზონის მომცველი მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა, რომელიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მონასტრის სამოწესეო ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესასწავლად. ჩატარებული სამუშაოს გაცნობა და გამოვლენილი არტეფაქტების გამოქვეყნება კვლევის დღევანდელი ეტაპისათვის მიზანშეწონილი და ფასეულია – იგი ხელმისაწვდომი გახდება, როგორც სამეცნიერო წრეებისათვის, ისე მრავალმთის სამონასტრო ცხოვრებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

კაცად კაცადმან, ვითარცა მიიღო მადლი,
ეგრეთვე ურთიერთას ამსახურებდით მას,
ვითარცა კეთილნი მნენი მრავალფერისა
მის ნიჭისა ღმრთისანი.

პეტრე, I:4,10

თავი I

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლები. არქეოლოგიური კვლევა-ძიების ეტაპები და ძირითადი შედეგები

გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანებაში გამორჩეული ადგილი უჭირავს წმ. დავით გარეჯელის მოწაფისა და თანამდგომის – წმ. ლუკიანეს მიერ VI საუკუნის მეორე ნახევარში დაარსებულ წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერს: *„ბრძანებითავე მამისა დავითის აღეშენა უდაბნო მრავალმთისა სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა“.*[1]

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი მრავალი ასწლეულის განმავლობაში ქრისტიანული საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს სასულიერო კერას, მეწინავე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. ამასთანავე, მონასტრის მეურვე-მშენებელთა და იქ მოღვაწე ბერ-მონაზონთა არაერთ თაობას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული კლდის ხუროთმოძღვრების, ფრესკული მხატვრობისა და გარეჯის ლიტერატურული სკოლის განვითარების პროცესში.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების ცენტრის – წმ. დავითის ლავრის დასავლეთით, მისგან რვა კილომეტრის დაშორებით, ისტორიულ ტფილელის ხეობაში მდებარეობს. მონასტერი კომპოზიციურად რთული არქიტექტურული ანსამბლია (ფერადი ტაბ. I). იგი გამოკვეთილია ზღვიური წარმოშობის ქვიშაქვებითა და კონგლომერატებით შექმნილ, 250 მეტრი სიგრძის კლდის მასივში ორსამ იარუსად, ერთობ *„ფიცხელს და უპოვარს ალაგ ზედ“*.

არქიტექტურული კომპლექსის ცენტრში განლაგებულია წმ. იოანე წინამორბედის შობის მთავარი ტაძარი, სატრაპეზო, წინამძღვრის პალატი, სამრეკლო და კოშკი-კარიბჭე. მონასტრის შიდა სტრუქტურები სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან შემოზღუდულია კოშკებიანი გალავნით (ფერადი ტაბ. $II_{1,2}$).

---

[1] *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*, წ. I (თბილისი, 1963), გვ. 239.



1. გარეჯის სამონასტრო კომპლექსი. სიტუაციური რუკა
Gareja Monastic Complex. Situational map

მონასტრის მთავარ ტაძარსა და ეკლესია-სამლოცველოებში დღემდე შემორჩა X–XIII საუკუნეების ფრესკები (ფერადი ტაბ. III_2).[2] კომპლექსის დასავლეთ ნაწილში არსებული სენაკები, XIX საუკუნეში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად, გაფორმებულია ამპირის არქიტექტურული სტილით და მოხატულია აღმოსავლური მოტივებით შექმნილი დეკორით (სურ. 56, ფერადი ტაბ. IV) [3] .

გამოქვაბული კომპლექსის შემადგენელი ძეგლები, დანიშნულების მიხედვით, შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

I. საკულტო და მემორიალური ძეგლები – მთავარი ტაძარი, ეკლესია-სამლოცველოები, ეკვდერი;

II. საცხოვრებელი ქვაბები – ა. კლასიკური მეუდაბნოების ხანის (VI–VIII სს) ქვაბები; ბ. განვითარებული შუა საუკუნეების ქვაბ-სენაკები; გ. გვიან შუა საუკუნეებსა და XIX საუკუნეში გამოკვეთილი კლდის სახლები;

III. სამეურნეო დანიშნულების გამოქვაბული სათავსები.

მონასტრის ქვაბოვან ძეგლთა ქრონოლოგია მოიცავს ვრცელ დიაპაზონს, VI-VII საუკუნეებიდან დაწყებული XIX-XX საუკუნეთა მიჯნის ჩათვლით. კომპლექსის მრავალრიცხოვანი სტრუქტურები, რომლებიც ამ ხანგრძლივი პერიოდის ფარგლებშია მოქცეული, ტიპოლოგიური კლასიფიკაციით კლდეში კვეთის ხელოვნების განვითარების ეტაპობრივ სურათს ასახავს.

მონასტრის დაფუძნების ხანის, VI-VII საუკუნეების არქაული ფორმების მქონე გამოქვაბულები შემორჩენილია მთავარი ტაძრის დასავლეთით, კომპლექსის პირველ იარუსში.[4]

განვითარებულ შუა საუკუნეებში მონასტერმა დასრულებული არქიტექტურული სახე მიიღო, შეიქმნა ახალი ხუროთმოძღვრული ფორმები – საერო საცხოვრისის მსგავსი კლდის სახლები. იმავე ხანაში გამოიკვეთა

---

[2] ზ. სხირტლაძე, სამეფო ქტიტორული პორტრეტი გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში, *საბჭოთა ხელოვნება*, 1983, №11, გვ. 96-110; მისივე, კვლავ წმ. იოანე ნათლისმცემლის საქტიტორო გამოსახულებების შესახებ, *საბჭოთა ხელოვნება*, 1987, №3, გვ. 108-113; გ. გაფრინდაშვილი, *გარეჯი* (თბილისი, 1987); А. Вольская, Росписи пещерных монастырей Давид Гареджи, კრებულში: *გარეჯი (კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII)* (თბილისი, 1988), გვ. 130-163; ზ. სხირტლაძე, ქვითხურო ბერის ფრესკა გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, *საქართველოს საპატრიარქო*, 1991, №1, გვ. 33-39; მისივე, Les portraits de l'église principale du monastere Natlismtsemeli a Garedja, Зограф, N23 (1993-1994), p. 5-14; მისივე, იოანე მამასახლისის საქტიტორო მოღვაწეობა გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, კრებულში: *სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი, საერთაშორისო კონფერენციის მასალები (გარეჯის კვლევის ცენტრის შრომები, II)* (თბილისი, 2001), გვ. 133-166; მ. ბულია, ისტორიულ პირთა გამოსახულებები „ნათლისმცემლის" მონასტრის საკრებულო ტაძარში, *საქართველოს სიძველენი*, 7-8 (2005), გვ. 168-203.

[3] Г. Чубинашвили, *Пещерные монастыри Давид Гареджи* (Тбилиси, 1948), с. 113, 115, таб. 36.

[4] იქვე, გვ. 36.



2. წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. არქიტექტურული კომპლექსი. დასავლეთი სექტორი

Monastery of St. John the Baptist. Architectural complex. Western sector.

და მოიხატა წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის მთავარი ტაძარი, ასევე მომცრო ეკლესია-სამლოცველოები, ეკვდერი.

გვიან შუა საუკუნეებსა და მონასტრის არსებობის ბოლო პერიოდში, XIX საუკუნეში განხორციელდა კომპლექსის ძირეული რეკონსტრუქცია – ძველი გამოქვაბულების უმეტესობა გადაკეთდა და განახლდა, შეიქმნა ახალი სტრუქტურები. კომპლექსის ცენტრალურ და დასავლეთ სექტორებში გამოიკვეთა აღმოსავლური დეკორით მოხატული, ამპირითა და კოლონების არქიტექტურული ფორმებით გაფორმებული კლდის სახლები, იარუსების დამაკავშირებელი ღია და გვირაბული ტიპის გასასვლელები, ერთიან სისტემად ჩამოყალიბდა მონასტრის ჰიდროტექნიკური ქსელი – კომპლექსის არქიტექტურაში ჩაერთო კლდის მასივის სხვადასხვა სექტორში გამოკვეთილი ლაკვებისა და წყლის შემკრები არხების ახალი სისტემები, რამაც არსებითად გადაწყვიტა ბერ-მონაზონთა ცხოვრების უმთავრესი სასიცოცხლო პრობლემა – მონასტრის წყალმომარაგების საკითხი: „...*არა არს აქა წყალი, არამედ იპყრობენ წვიმისა კლდისა ჭათა შინა და სმენ მას.*“[5]

[5] ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, *ქართლის ცხოვრება*, ტ. IV (თბილისი, 1973), გვ. 322.

მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა მონასტრის იერსახემ – კლდის არქიტექტურას ორგანულად შეერწყა ქვითკირის საკულტო, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ახალი ნაგებობები, ტერასული კონსტრუქციები და რეკონსტრუირებული სამკოშკიანი გალავანი.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ისტორიის **წყაროთმცოდნეობითი** ბაზა მდიდარი და მრავალფეროვანია. ამ მხრივ განსაკუთრებით უხვია მასალები მონასტრის არსებობის ბოლო მონაკვეთის, XVII–XIX საუკუნეების თაობაზე; ამასთან შედარებით, ბევრად უფრო მწირია მონაცემები ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების შესახებ.

მონასტრის ისტორიის წყაროები აერთიანებს როგორც ეპიგრაფიკულ, ისე ნარატიულ ძეგლებს. ეპიგრაფიკულ ძეგლთაგან აღსანიშნავია სამონასტრო კომპლექსში აღმოჩენილი VI-VII საუკუნეებით დათარიღებული სტელა ასომთავრული წარწერით (ფერადი ტაბ. III$_1$);[6] მთავარი ტაძრის მოხატულობაში ჩართულ საქტიტორო პორტრეტთა გალერეის თანმხლები, XII საუკუნის ასომთავრული წარწერები;[7] სამონასტრო კომპლექსის ქვაბებსა და საფორტიფიკაციო სისტემაზე შემორჩენილი წარწერები და მინაწერები, მათ შორის, იოანე მამასახლისის (X-XI სს მიჯნა),[8] დავით რექტორის (XVIII ს),[9] გიორგი ავალიშვილის (XVIII ს),[10] ბოდბელ მიტროპოლიტ იოანესი (XIX ს)[11] და სხვ.

უძველესი ნარატიული ცნობები წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის დაარსების შესახებ დაცულია „ქართლის ცხოვრებაში“ – ჯუანშერთან[12] და „ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების“ კიმენურსა (X ს) და მეტაფრასულ (XIII ს) რედაქციებში.[13]

---

[6] Н. Чубинашвили, *Хандиси. Проблема рельефа на примере одной группы грузинских стел последней четверти V века, VI и первой половины VII века* (Тбилиси, 1976), с. 90-93; *ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, I, სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველო (V-X სს.), გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა* (თბილისი, 1980), გვ. 114-115 (ადრეული ბიბლიოგრაფიით).

[7] ზ . სხირტლაძე, სამეფო ქტიტორული პორტრეტი გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში, გვ. 96-110; მ. ბულია, დასახ.ნაშრომი, გვ. 168-211.

[8] ზ. სხირტლაძე, იოანე მამასახლისის საქტიტორო მოღვაწეობა გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, გვ. 133-166.

[9] ზ. სხირტლაძე, მინაწერი წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან, *ძეგლის მეგობარი*, 1986, №2, გვ. 40-43.

[10] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 114; თ. ბარნაველი, *კახეთის ისტორიულ ძეგლთა წარწერები* (თბილისი, 1962), გვ. 51.

[11] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 115; თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

[12] *ქართლის ცხოვრება*, ტ. I (თბილისი, 1959), გვ. 208-210.

[13] *ასურელ მოღვაწეთა წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის რედაქციით* (თბილისი, 1965), გვ. 144-184.



3. სატრაპეზო. სამრეკლო (დ. ერმაკოვის ფოტო, 1880-იანი წლები)
Refectory. Bell tower (Photo by D. Ermakov, the 1880 's.)



4. წინამძღვრის სახლი. სატრაპეზო. კოშკი-კარიბჭე (თ. კიუნეს ფოტო, 1913)
The house of the Father Superior. Refectory. Tower - Gate (Photo: Th. Kuhne, 1913)

უძველეს ცნობათა რიგს მიეკუთვნება სინას მთაზე, წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილი, X საუკუნის დასაწყისში გადანუსხული ხელნაწერის ჩანართი, რომელშიც აღწერილია მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის წიგნსაცავი და საგანძური.[14]

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი განვითარებულ შუა საუკუნეებში კრებითი სახელდების – „გარეჯელნი", „სამივე უდაბნო გარეჯისა", „სამივე უდაბნოსა გარეჯისა მოწესენი", „ათორმეტთა უდაბნოთა გარეჯისათა" კონტექსტში უნდა მოიხსენიებოდეს. წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაცემები,[15] იმხანად მონასტრის, როგორც მოქმედი ერთეულის არსებობას ადასტურებენ.

---

[14] ზ. ალექსიძე, გარეჯიდან სინას მთამდე: უცნობი მასალა სამონასტრო კომპლექსის შესახებ სინას მთის ქართულ ხელნაწერთა ახალი კოლექციიდან, კრებულში: *სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში: გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი (გარეჯის კვლევის ცენტრის შრომები, II)* (თბილისი, 2001), გვ. 48-63.

[15] ზ. თვალჭრელიძე, გარეჯის სამონასტრო ცხოვრების განვითარების ეტაპები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, კრებულში: *სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში: გარეჯა და ქრისტიანული აღმოსავლეთი (გარეჯის კვლევის ცენტრის შრომები, II)* (თბილისი, 2001), გვ. 34-37; *ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან სენიორიები, I* (თბილისი, 1966), გვ. 16 და შემდეგ.



5. არქიტექტურული კომპლექსი – ფასადი. გალავანი
Architectural Complex. Facade. Fence



6. არქიტექტურული კომპლექსი. დასავლეთი სექტორი. გეგმა. ჭრილი
Arcitectural complex. Western sector. Plan. Section

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა XVI–XIX საუკუნეების საერო და საეკლესიო საბუთებში, რომლებშიც მრავლად გვხვდება სამონასტრო ცხოვრების სხვადასხვა მხარის ამსახველი მასალები.[16] ასევე, ყურადსაღებია მონასტრის კედლებზე დღემდე შემორჩენილი გვიანი ხანის ინფორმაციული ღირებულების მქონე წარწერები და მომლოცველთა მინაწერები.

* * *

გარეჯის მრავალმთა ქრისტიანული სულიერებისა და კულტურის უძველესი და სწორუპოვარი კერაა, რომელსაც, მიუხედავად საუკუნეთა მანძილზე ჟამთა სიავით გამოწვეული მასშტაბური ნგრევებისა, თვითმყოფადი არქიტექტურული და ფერწერული ძეგლებით დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მნახველი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობის მკვლევართათვის ფასდაუდებელი საგანძურია.[17]

---

16 *გარეჯის ისტორიული დოკუმენტები (XIII–XVIII სს.), გამოსაცემად მოამზადეს დოდო ლომიძემ, მანანა ჭუმბურიძემ და ზაზა სხირტლაძემ, ზეინაბ გურჯიძის და ლევან ბუკიას მონაწილეობით, წ. I და II (გარეჯის საგანძური, V და VI)* (თბილისი, 2008, 2011).

17 საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ძირძველი სასულიერო კერა – დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მწყემსმთავრობით აღმავლობისა და აღორძინების გზაზე დგას. ამასთანავე, სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში, გარეჯის უდაბნოში სრულიად განსხვავებული ვითარება იყო.



7. არქიტექტურული კომპლექსი. დასავლეთი სექტორი. გეგმა. ჭრილი
Arcitectural complex. Western sector. Plan. Section

მრავალმთის სამეცნიერო კვლევის სათავეები აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მონოგრაფიაში „Пещерные монастыри Давид-Гареджи“ მან საეტაპო დონეზე განსაზღვრა გარეჯის უდაბნოს სამონასტრო გაერთიანების მასშტაბურობა და მნიშვნელობა ქრისტიანული კულტურის ისტორიისათვის. ამასთან, გაერთიანების მრავალასწლოვანი არსებობის სურათის შეძლებისდაგვარი სისრულით წარმოსაჩენად, მის კომპლექსურ შესწავლას მიანიჭა პრიორიტეტი. სწორედ ამ თვალსაზრისით, მომდევნო ათწლეულების განმავლობაში გარეჯის მონასტერთა კვლევების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება არქეოლოგია გახდა. იგი ორგანულად დაუკავშირდა გარეჯის მრავალმთაში მონასტიციზმის პრობლემის შესწავლას. ამასთანავე, არქეოლოგიური კვლევები სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარებისა და სამონასტრო ცხოვრების აღდგენა-განმტკიცების პროცესების ხელშემწყობი, აუცილებელი კომპონენტი გახდა.

გარეჯის მრავალმთაში სამონასტრო ცხოვრება 1920-იანი წლებიდან მოყოლებული, ათწლეულების მანძილზე გაუქმებული იყო. საბჭოთა ჯარების საწვრთნელი ბაზა, ე.წ. „პოლიგონი“, რომელიც ამ წმინდა ადგილზე ათწლეულების განმავლობაში მოქმედებდა, საბედისწერო აღმოჩნდა მრავალმთის ძეგლებისათვის. იმხანად, უამრავი რამ განადგურდა ან უმოწყალოდ დაზიანდა.

დრო-ჟამით მოტანილი სირთულეების მიუხედავად, საქართველოში მაინც იყვნენ მეცნიერების, კულტურის, ეკლესიისა და საზოგადოების სხვადასხვა ფენის ღირსეული წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი ინტელექტუალური თუ სასულიერო მოღვაწეობით ცდილობდნენ მრავალმთის ძეგლთა გადარჩენას. ამასთან, ისინი დიდი ძალისხმევის შედეგად, რესპუბლიკის მაშინდელ ხელისუფალთ ვალდებულს ხდიდნენ, ყურადღება მიემართათ გარეჯის უდაბნოს სიძველეებისადმი – ქართული კულტურული მემკვიდრეობის ამ გამორჩეული, სწორუპოვარი კერისადმი, რომელიც პოლიგონის მოქმედების პირობებში სრული განადგურების ზღვარზე იდგა.

იმჟამინდელი მთავრობის მიერ გარეჯში გატარებული ღონისძიებები ეროვნული და საეკლესიო ნიშნით არ იყო დატვირთული, იგი უფრო სამეურნეო და პარადულ ხასიათს ატარებდა: წმ. დავითის ლავრასთან და წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრებთან კეთილმოეწყო საავტომობილო გზები, იმართებოდა ,,გარეჯობის“ კომუნისტური ელფერით შეფერილი, პომპეზური სახალხო დღესასწაული, განხორციელდა ცალკეული სარესტავრაციო და სამეცნიერო პროექტები.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან, გარეჯის ძეგლების გადარჩენის პროცესების განხორციელებას ახალი ბიძგი მისცა საქართველოში ეროვნული მოძრაობის გაშლამ და ქართველი ხალხის დედა ეკლესიისადმი შემობრუნებამ.

მოგვიანებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ნებით, კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს (ამჟამად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო), ქართველი მეცენატების, საერთაშორისო და ადგილობრივი ფონდების, გარეჯის კვლევის ცენტრის ძალისხმევით წმ. დავითის ლავრაში, უდაბნოსა და წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრებში დაიწყო საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოები. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ, საქართველოში არსებულ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებში, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების დამკვიდრებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინების თანმხვედრად, გარეჯის მრავალმთაში ეკლესია მიზანმიმართულად იბრუნებს ასწლეულების წინ დაკარგულ თავის ისტორიულ და სასულიერო მისიას.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქეოლოგიური კვლევა 1980 წელს დაიწყო. იმხანად, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის, გარეჯის უდაბნოს შემსწავლელმა არქეოლოგიურ-სპელეისტიკურმა ექსპედიციამ (გივი გაფრინდაშვილი, ზურაბ თვალჭრელიძე, სოსო ბურდილაძე, არქიტექტორი – ნოდარ ბახტაძე) მონასტერში დაზვერვითი ხასიათის არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა. ეს სამუშაოები 1981 წელსაც გაგრძელდა.

1982 წელს, ექსპედიციის მიერ მოპოვებული არტეფაქტების მნიშვნელობის გათვალისწინებით, წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მივლინებული იქნა კომისია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის იმჟამინდელი დირექტორის, ლევან ჭილაშვილის, დირექტორის მოადგილის, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის გამგის, პარმენ (ნაპო) ზაქარაიას, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელის გივი გაფრინდაშვილის, არქეოლოგ ზურაბ თვალჭრელიძისა და არქიტექტორ-რესტავრატორ თეიმურაზ აბრამიშვილის შემადგენლობით.

1983 წელს, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სამეცნიერო-კვლევითი გეგმის შესაბამისად, რომლის დროსაც გათვალისწინებულ იქნა კომისიის რეკომენდაციებიც, საფუძველი ჩაეყარა **გარეჯის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის შემსწავლელ სტაციონარულ არქეოლოგიურ ექსპედიციას.** ექსპედიციის მუშაობის მიზანს წარმოადგენდა: დადგენილიყო ძეგლის სტრატიგრაფია, სტრატიგრაფიულ მონაცემებსა და არტეფაქტების ტიპოლოგიურ და ქრონოლოგიურ ანალიზზე დაყრდნობით განსაზღვრულიყო სამონასტრო ცხოვრების დიაპაზონი, მისი განვითარების ძირითადი ეტაპები, მომზადებულიყო მასალები წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ისტორიულ-არქეოლოგიური ასპექტით მონოგრაფიული შესწავლისათვის. თავის მხრივ, კომპლექსის არქეოლოგიური შესწავლის პროცესი, სამეცნიერო ასპექტთან ერთად ითვალისწინებდა არქიტექტურული სტრუქტურების ეტაპობრივ მომზადებას სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩასატარებლად.[18]

---

[18] წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის სამხედრო პოლიგონთან სიახლოვის გამო, არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა მიმდინარეობდა რთულ ვითარებაში, საბჭოთა საჯარისო ნაწილების მანევრების დროს, მისი სამხედრო ხელმძღვანელობის ზეწოლის, საავიაციო და საარტილერიო ტექნიკის მოქმედების პირობებში. ურთულესი ფაქტორების მიუხედავად, რაც რიგ შემთხვევებში პირად უსაფრთხოებასთან და ათეულობით ახალგაზრდის სიცოცხლის დაცვის პასუხისმგებლობასთან იყო დაკავშირებული, ექსპედიცია მაინც მიზანმიმართულად აგრძელებდა მუშაობას. იბადება კითხვა – რა იყო ის ძალა, რომელიც ექსპედიციას მფარველობდა, მე კი რწმენას მაძლევდა საველე კვლევითი მუშაობის გასაგრძელებლად? ამ კითხვაზე პასუხის გაცემამდე, მართებულად მიმაჩნია მოკლედ შევეხო მრავალმთაში საექსპედიციო მუშაობის პერიოდში არსებულ ვითარებას, რათა ზოგადი წარმოდგენა შეიქმნას იმ დროებაზე, როდესაც გარეჯის უდაბნოში სამეცნიერო კვლევის განხორციელება გარკვეულ რისკებთან იყო დაკავშირებული.

1983-1989 წლებში განხორციალებული სტაციონარული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მნიშვნელოვანი მასალები გამოვლინდა წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მონოგრაფიული კვლევის მიმართულებით.[19]

უდაბნოს რთული ბუნებრივი პირობებისა და სოციალური გარემოს, ყაჩაღური ბანდების თარეშის, რიგ შემთხვევაში ექსპედიციაზე შეიარაღებული თავდასხმისა და ავტომატური იარაღიდან ცეცხლის გახსნის შემთხვევების გარდა, დიდი სირთულეები იყო საბჭოთა სამხედროებთან ურთიერთობაში, რომლებიც თანმიმდევრულად ანადგურებდნენ გარეჯის მსოფლიო მნიშვნელობის კულტურის ძეგლებს. იყო შემთხვევები, როდესაც ჭურვები უშუალოდ ეცემოდა სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე, რასაც ძეგლების დაზიანებასთან ერთად, სხვა გამოუსწორებელი შედეგებიც ახლდა თან: წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში მორიგი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის დაწყების წინ, ბეწვზე მივუსწარით რუს ჯარისკაცს, რომელსაც ხელში საველე ნიჩაბი ეჭირა და დაწყებული ჰქონდა წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის მთავარი ტაძრის კანკელის ჩუქურთმების განადგურება. იყო შემთხვევები, როდესაც საზენიტო დანადგარებიდან ნასროლი ჭურვები საავტომობილო გზის სიახლოვეს ცვიოდა და ჩვენ თვალწინ იღუპებოდა საძოვარზე გაშლილი ცხვრის ფარა. ერთი, ასეთ სამიზნეს აცდენილი ჭურვი აფეთქდა ავტობუსის სიახლოვეს, როდესაც სამუშაოს დამთავრების შემდეგ მონასტრიდან სამეცნიერო ბაზაზე ვბრუნდებოდით. ამასთან დაკავშირებით, მახსენდება ჩვენი ხანდაზმული, კახელი მძღოლის სრულიად გულწრფელი და გამამხნევებელი მომართვა: „ზურა, ომში ვარ ნამყოფი, ბიჭებო ნუ შეგეშინდებათ“-ო და შემდგომ, მის მიერ მინდვრის უვალი გზებით, გორაკების მოფარებით, მანქანის სწრაფი და მანევრირებული მართვა, რათა სამშვიდობოზე უვნებლად გამოვეყვანეთ. თავის მხრივ, მძღოლის შემართებით გამხნევებულმა ავტობუსში მსხდომმა ოცამდე ახალგაზრდამ ექსპედიციის წევრებთან ერთად, სამხედროებისა და საბჭოთა საოკუპაციო სისტემის მიმართ ემოციური მუხტით გამოთქმული სათანადო „შეფასებით“, იმჯერადაც, უთუოდ უფლის შეწევნით, უვნებლად გავიარეთ „პოლიგონის“ ეს სახიფათო მონაკვეთი.

სამწუხაროდ, სულ ცოტა ხანში – 1985 წელს, არქეოლოგიური ექსპედიციის დასრულების შემდგომ, გარეჯის უდაბნოს ტერიტორიაზე ნაპოვნმა აუფეთქებელმა ნაღმმა ექსპედიციის ღირსეული წევრის, სოფელ უდაბნოს მკვიდრის, თანატოლებში გამორჩეული ჭაბუკის, ავთანდილ გოგნიაშვილის სიცოცხლე შეიწირა.

აღნიშნულ და კიდევ სხვა მრავალ სირთულეებს, გარკვეულწილად გვაძლევინებდა ჩვენი განსაკუთრებული სიყვარული და მოკრძალება გარეჯის დიდებული სამონასტრო კომპლექსის მიმართ, აგრეთვე სამეცნიერო კვლევის პერსპექტივის ხედვა და საექსპედიციო მუშაობის დროს მეგობრებისა და თანამშრომლების თანადგომა.

დღევანდელი გადასახედიდან ნათლად ჩანს, რომ აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, არქეოლოგიური ექსპედიციის კიდევ ერთი მამოძრავებელი ძალა და მფარველი, უთუოდ, ის დიდი მადლიც იყო, რომელიც გარეჯის უდაბნოში მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების არსებობის ასწლეულების მანძილზე არის განფენილი – *„მოუნიჭებიეს შენდა უფალსა მესამედი მადლი იერუსალიმისაი“* (ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა ჩუენისა დავით გარეჯელისაჲ, გვ.117 – იხ. ბიბლიოგრაფია).

[19] წმ. იოანე ნათლისმცემლის უდაბნო-მონასტრის შემსწავლელ სტაციონარულ არქეოლოგიურ ექსპედიციებში 1983-2005 წლებში მონაწილეობდნენ: ზ. თვალჭრელიძე – ისტორიის დოქტორი, ექსპედიციის ხელმძღვანელი, გ. გაფრინდაშვილი – სპელეისტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ს. ბურდილაძე – ისტორიის დოქტორი, ნ. ბახტაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ე. ნადირაძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გ. ჯავახიშვილი – ისტორიის დოქტორი; მეცნიერ თანამშრომლები – რ. პატარიძე, ა. გოგიაშვილი, ნ. ახალკაცი; ლაბორანტები – † ე. რაზმაძე, გ. დავითაია, რ. მერაბიშვილი, ლ. შოშიტაშვილი, † ლ. თვალჭრელიძე; არქიტექტორები: გ. ბაგრატიონი, დ. კანდელაკი, გ. რაზმაძე, მ. შავაძე; ტოპოგრაფი რ. ატოიანი. არქეოლოგიური გათხრების პროცესის და მოპოვებული არტეფაქტების ფო-



8 . წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის ტაძარი და სატრაპეზო. გეგმა
Church of the Nativity of John the Baptist and the Refectory. Plan

---

ტოფიქსაცია განახორციელეს: ნ. ანდრონიკაშვილმა, გ. ბუმბიაშვილმა, გ. გაფრინდაშვილმა, ზ. თვალჭრელიძემ, ზ. შავიანიძემ; არტეფაქტების ქიმიურ-სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარეს: ისტორიის დოქტორებმა – † ც. აბესაძემ და ნ. ქებულაძემ, ლაბორანტებმა – ე. მესხიძემ, თ. გოცირიძემ; მიწის არქეოლოგიური სამუშაოები განახორციელეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰიდროსანტექნიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტებმა, ქ. საგარეჯოს პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლე ახალგაზრდობამ (დირექტორი † ჯ. დაფქვიაშვილი, მოადგილე – ო. გოცირიძე პედაგოგი – † ქ. ტიგინაშვილი და სხვ.) და სოფელ უდაბნოს მოსახლეობამ – ზ. ბუთხუზის, დ. ციქუბაძის, † ო. გობეჯიშვილისა და † მ. ჩართოლანის თავკაცობით. ექსპედიციაში „ვოლონტიორთა“ ფორმით მონაწილეობდნენ – რ. ჭელიშვილი, ვ. თვალჭრელიძე, გ. თვალჭრელიძე, გ. გუგუტიშვილი, გ. გორელაშვილი, მ. ინწკირველი, თ. ღუდუშაური, ნ. ღუდუშაური; ექსპედიციას კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ ქ. საგარეჯოს №5 სამეურნეობათაშორისო ავტოსატრანსპორტო გაერთიანების მძღოლები: უ. ესიაშვილი, გ. კალანჯარიშვილი და სხვ. ექსპედიცია წლების მანძილზე დიდ ყურადღებასა და მხარდაჭერას გრძნობდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის, აკადემიკოს † ლევან ჭილაშვილის, დირექტორის მოადგილის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის † ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საგეგმო-საფინანსო სტრუქტურის ხელმძღვანელის ქალბატონ † ოლიკო გიორგობიანის, ქალბატონ † მედეა მეზვრიშვილისა და დამოუკიდებელი საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელობის მხრიდან. აქვე, განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო **ამბა ალავერდელის, მიტროპოლიტ დავითის** მიმართ იმ დიდი ყურადღებისა და ლოცვა-კურთხევისათვის, რომელსაც იგი იჩენდა წმ. დავითის ლავრის წინამძღვრობის პერიოდში, გარეჯის მრავალმთის ძეგლებზე ჩვენი ექსპედიციის მუშაობის დროს.



9. წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის ტაძარი და სატრაპეზო. ჭრილები
Church of the Nativity of John the Baptist and the Refectory. Sections

1990 წელს, ქვეყანაში დაწყებული საყოველთაოდ ცნობილი პოლიტიკური პროცესების, ეკონომიკური და სოციალური პირობების სირთულეთა გამო, სამონასტრო კომპლექსში საველე არქეოლოგიური სამუშაოები გარკვეული დროით შეწყდა.

თითოეულ მათგანს, ასევე ძეგლზე მომუშავე სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ასობით წარმომადგენელს, სრულიად უანგარო და კეთილშობილური მიზნით გაწეული დახმარებისათვის, რამაც ხელი შეუწყო წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მეცნიერულ კვლევას, არქიტექტურული კომპლექსის მოვლა-პატრონობასა და შემდგომში სამონასტრო ცხოვრების აღორძინების პროცესს, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის არქეოლოგიური ექსპედიციისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის სახელით დიდ მადლობას მოვახსენებ.



10. სატრაპეზო. ჭრილი
Refectory. Section

1995 წელს, მონასტრის არქეოლოგიური შესწავლა კვლავ განახლდა. აქედან მოყოლებული, მომდევნო, 1996-2005 წლებში იგი იმართებოდა გაფართოებული ფორმატით – **გარეჯის სამონასტრო კომპლექსის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციის** ეგიდით. ამ ეტაპიდან, მრავალმთის მონასტრების არქეოლოგიური კვლევის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა სამეცნიერო მუშაობის წარმართვა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების შესწავლის მიმართულებით, როგორიცაა:

ქვაბებში – გადასაწყვეტია მონასტრისა და მასთან არსებული დასახლების ურთიერთმიმართების საკითხი. დასადგენია, ქვაბები მიმდებარე სამოსახლოებით წარმოადგენს მონასტერს, თუ იგი კლდის სოფელია, არქიტექტურულ კომპლექსში არსებული სამრევლო ეკლესიებით.

საბერეებში – დასადგენია ეს ქვაბოვანი კომპლექსი ზოგადსაცხოვრებელი (კინოვიალური) მონასტრის ტიპს მიეკუთვნება, თუ ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ზოგიერთი ძეგლის ანალოგიის გათვალისწინებით, ისიც მარტირიუმს წარმოადგენს.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში არქეოლოგიური სამუშაოების პარალელურად, დაიწყო სამოწესეო ცხოვრების თანდათანობითი აღდგენის პროცესი. არსებული რეალობის გათვალისწინებით ნათელი გახდა, რომ ახლო მომავალში მონასტერში სამოწესეო ცხოვრება სრულად უნდა განახლებულიყო. მართლაც, სულ მალე ამ პროცესმა შეუქცევადი სახე მიიღო.



11. იოანე მამასახლისეული ეკლესია. გეგმა. ჭრილები
Church of the Father Superior Ioane. Plan. Sections

2001 წლიდან მოყოლებული, მონასტერში განახლდა სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები, რამაც გარკვეული კორექტივები შეიტანა სავალე სამუშაოების წარმართვისას. არქეოლოგიური გათხრები განხორციელდა საქართველოს საპატრიარქოსთან კოორდინირებული თანამშრომლობით, რამაც შესაძლებელი გახადა თავიდან აგვეცილებინა არაპროფესიონალთა მიერ ცალკეული სტრუქტურის უნებართვო გათხრა და კულტურული ფენების დარღვევა.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში კვლევის დღევანდელ ეტაპზე, არქეოლოგიურად შესწავლილია კომპლექსის ცენტრალური და დასავლეთი სექტორები – მიკვლეულია ახალი და უკეთ არის გამოვლენილი მანამდე არსებული სამონასტრო სტრუქტურები: ეკლესია-სამლოცველოები, სენაკები, საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და საწარმოო სათავსები, წყალმომარაგების ქსელისა და საფორტიფიკაციო სისტემის აქამდე უცნობი მონაკ-



12. ტოპოგეგმა. კვადრატული ბადე (30 X 30 მ²)
Topographical plan. Quadratic grid (30x30m²)

ვეთები, აგრეთვე არქეოლოგიური კვლევა ჩატარებულია გვიანდელი ხანის სამაროვანზე.



13. VI-VII სს გამოქვაბული. გეგმა. ჭრილი
6th-7th c. cave. Plan. Section

დაზვერვითი ხასიათის გათხრები განხორციელდა მონასტრის აღმოსავლეთ ნაწილში, მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პერსპექტიულ არქეოლოგიურ უბანზე. არქიტექტურული კომპლექსის ამ მონაკვეთში სავარაუდოა გამოვლინდეს კულტურული ფენებით დაფარული პირველი იარუსი, რის საფუძველსაც იძლევა სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი არტეფაქტები.

წინასწარი მონაცემებით ირკვევა, რომ წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში სამოწესეო ცხოვრების აღმავლობის ხანიდან (IX ს) დაწყებული, ვიდრე განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაში, სწორედ მონასტრის აღმოსავლეთი ნაწილი უნდა ყოფილიყო ერთიანი არქიტექტურული ანსამბლის ფორმირებისა და განვითარების უმთავრესი მონაკვეთი.

* * *

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქეოლოგიური შესწავლით გარეჯის მონასტრების კვლევაში ახალი ციკლი დაიწყო – შემოწმდა, გაღრმავდა და რიგ შემთხვევაში გადაისინჯა მანამდე არსებული შეხედულებები, დაზუსტდა არქიტექტურული კომპლექსის ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიის საკითხები, გამოვლინდა ახალი ძეგლები და არტეფაქტები.

არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა მონასტრის ექვს უბანზე:

I არქეოლოგიური უბანი – სამონასტრო კომპლექსის უკიდურესი აღმოსავლეთი სექტორი (P ფართის, a-2,3 და b-3 კვ., O ფართის, a-1, b-1,2 და c-2,3 კვ.);

II არქეოლოგიური უბანი – მონატრის გალავნის აღმოსავლეთის შემკვრელი კედლის გარეთ არსებული სექტორი (K ფართის, c-3 კვ., L ფართის, a-3 კვ.; O ფართის, a-1 კვ.);

III არქეოლოგიური უბანი – მონასტრის შიდა ეზო და მისი მიმდებარე დასავლეთი სექტორის ნაწილი (K ფართის, a-1, b-1-3 და c-1-3 კვ.; H ფართის, a-3 და b-2,3 კვ.);

IV არქეოლოგიური უბანი – სამონასტრო კომპლექსის დასავლეთი სექტორი (G ფართის, b-1 კვ.; C ფართის, a-3 კვ.; C¹ ფართის, c-3 კვ.);

V არქეოლოგიური უბანი – მონასტრის გალავნის გარე, ქვედა ტერასაზე არსებული საცხოვრებელი, სამეურნეო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების განლაგების სექტორი (F ფართის, a-1,2 და b-2 კვ.; E ფართის, c-1 კვ. და C ფართის, a-2,3 კვ.);

VI არქეოლოგიური უბანი – მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთი სექტორი (ფერდი), არქიტექტურული კომპლექსის სამეურნეო ზონაში არსებული კლდეში ნაკვეთი წყალმომარაგების სისტემის განლაგების არეალი (Y ფართის, b-1,2 კვ.; U ფართის, a-1,2 კვ.; T ფართის, c-1 კვ. და P¹ ფართის, c-1 კვ.).



14. VI–VII სს გამოქვაბული. გეგმა
6th-7th c. cave. Plan

როგორც აღინიშნა, არქეოლოგიური კვლევა-ძიება განხორციელდა მონასტრის სხვადასხვა სტრუქტურების – გამოქვაბულების, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ქვაბოვანი სათავსების, ქვიტკირის ნაგებობების, საფორიტიკაციო და წყალმომარაგების სისტემების, სამაროვნის შესასწავლად. სამონასტრო კომპლექსის ფერდობის სხვადასხვა მონაკვეთზე გაიჭრა სტრატიგრაფიული ჭრილები.

გამოქვაბულები – სამონასტრო კომპლექსის პირველ იარუსში გამოკვეთილ გამოქვაბულთა ნაწილი, შევსებულია სხვადასხვა სიმძლავრის კულტურული ფენებით, ხოლო ნაწილი კლდის ქანების ჩამონაშალებით არის დაფარული. გამოქვაბულების არქეოლოგიური შესწავლა ითვალისწინებდა: კულტურული ფენების გამოვლენას, მოპოვებული არტეფაქტების ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიის საკითხების დადგენას.

გამოქვაბულებში სტრატიგრაფიული და ტიპოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით გამოიყო სამი ქრონოლოგიური ჯგუფი:

VI–VIII საუკუნეების სენაკები, რომლებიც კულტურულ ფენებს არ შეიცავენ;

XI–XIII საუკუნეების ეკლესია-სამლოცველოები, ეკვდერი, სამეურნეო და სახელოსნო დანიშნულების ქვაბები;

XVII–XIX საუკუნეების სენაკები, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების გამოქვაბულები.

არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ გამოქვაბულთა ნაწილმა XVII–XIX საუკუნეებში განიცადა ძირეული რეკონსტრუქცია, ხოლო ნაწილი იმხანად გამოიკვეთა.

სტრატიგრაფიული მონაცემებით გამოქვაბულები დაიყო: **ა.** ერთფენიან (XVII–XIX სს) და **ბ.** ორფენიან (პირველი, ზედა ფენა XVII–XIX სს-ით, ხოლო მეორე, ქვედა ფენა XI–XIII სს-ით თარიღდება) ძეგლებად.

VI-VIII საუკუნეების სენაკები

გიორგი ჩუბინაშვილის მიხედვით, მონასტრის მთავარი ტაძრის დასავლეთით, პირველი იარუსის რიგში გამოკვეთილია სამოწესეო ცხოვრების საწყისი პერიოდის, VI-VIII საუკუნეების სენაკები. ამ ხანის გამოქვაბულთა ფორმა უახლოვდება წრეს ან ელიფსს, რომლებსაც აქვს თითქმის თაღოვანი ჭერი და სხვადასხვა დონეზე თარო გასდევს (სურ. 13)[20]. ამ პერიოდის ძეგლების არქეოლოგიური შესწავლის მიზანს, გამოქვაბულებში კულტურული ფენების დადგენა და მათი გეგმარებითი სტრუქტურისათვის დამატებითი მასალის მოპოვება წარმოადგენდა.

K ფართის, b-1 კვადრატში (№3 არქეოლოგიური უბანი) ელიფსური გეგმის – №43 სენაკის არქეოლოგიური შესწავლით, გამოქვაბულის გამოკვეთის დროინდელი მასალა არ გამოვლინდა. მასში, მხოლოდ მონასტრის არსებობის ბოლო პერიოდის, 0,2 მეტრი სიმძლავრის კულტურული ფენა დადასტურდა.

K ფართის, b-1 კვადრატში (№3 არქეოლოგიური უბანი) მდებარე №48 გამოქვაბულში ჩატარებული გათხრების შედეგად დადგინდა, რომ ქვაბი არაპროპორციული, გეგმაში ტრაპეციის მსგავსი ფორმის უსარკმლო სათავსს წარმოადგენდა, უხეშად ნაკვეთი მცირედ შეისრული ჭერითა და სწორკუთხა ფორმის კარით. იატაკში დაფიქსირდა სწორკუთხა და მრგვალი ფორმის, სამეურნეო დანიშნულების ფოსოები (სურ. 14). კულტურული ფენის სიმძლავრე 0,6-0,8 მეტრს უდრიდა.

გამოქვაბული, როგორც გამოვლენილი არტეფაქტებით გაირკვა, მონასტრის არსებობის ბოლო ხანამდე ფუნქციონირებდა და თავდაპირველი დანიშნულების დაკარგვის შემდეგ, დამხმარე სათავსის ფუნქციას ასრულებდა.

---

[20] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.



15. №1 არქეოლოგიური უბანი. № 1 გამოქვაბული-ეკლესია. გეგმა. ჭრილი
Archaeological plot 1. Cave - Church 1. Plan. Section

არქეოლოგიურმა კვლევამ ცხადყო, რომ მეუდაბნოეობის ხანის, VI–VIII საუკუნეების გამოქვაბულები ადრეულ ფენებს არ შეიცავენ, რაც მათი მომდევნო საუკუნეებში ფუნქციონირებით უნდა აიხსნას.

XI–XIII საუკუნეების ეკლესია-სამლოცველოები, ეკვდერი

არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა კომპლექსის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, P ფართის, a-3 კვადრატში მდებარე №1 გამოქვაბულ-ეკლესიაში და მის წინ არსებულ სტოაში (№1 არქეოლოგიური უბანი – სურ. 15).

გათხრების შედეგად დადგინდა ეკლესიის დარბაზული ტიპი და გამოვლინდა ინტერიერის მანამდე უცნობი ელემენტები: ტრაპეზი, მერხი, სამთაღიანი, ორნამენტირებული კანკელი და სამკვეთლო; დაზუსტდა არქიტრავიანი შესასვლელების მოხაზულობა სტოადან ეკლესიის დარბა-



16. № 1 არქეოლოგიური უბანი. №3 გამოქვაბული-ეკლესია. გეგმა. ჭრილი
Archaeological plot 1. Cave - Church 3. Plan. Section

ზულ ნაწილსა და საკურთხეველში. კულტურული ფენა (სიმძლავრე -1,5 მ) XVII-XVIII საუკუნეებით თარიღდება.

გამოქვაბული-ეკლესია ტიპოლოგიური კლასიფიკაციით განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლია, თუმცა როგორც გათხრებით დადგინდა, იგი გვიან შუა საუკუნეებშიც აგრძელებდა ფუნქციონირებას.

C-3-4; d-4 და E-4,5 კვადრატებში (№1 არქეოლოგიური უბანი – სურ. 16) შევისწავლეთ №3 გამოქვაბული-ეკლესია (ეკლესიის საკურთხეველში არსებული ვედრების მოხატულობის გამო, ფრესკის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, მასში არქეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა) და მის წინ არსებული ტერასა. არქეოლოგიურ-არქიტექტურული კვლევის შედეგად გამოიკვეთა დარბაზული ეკლესიის გეგმიურ-სივრცობრივი სტრუქტურის ელემენტები: ნიშები, თაღები და მერხი. კულტურული ფენა გამოვლენილი არტეფაქტების მიხედვით, XVII-XVIII საუკუნეების ქრონოლოგიური საფეხურით თარიღდება.

გამოქვაბული ეკლესია ტიპოლოგიურად განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლს მიეკუთვნება, ამასთან, როგორც გათხრებით გაირკვა, იგი გვიან შუა საუკუნეებშიც ფუნქციონირებდა.

მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოკვეთილ **წმ. დიდმოწამე დიმიტრის ეკვდერში**, წერილობითი ცნობის მიხედვით დაკრძალულნი არიან საქართველოს წარჩინებული გვარის

წარმომადგენლები: *„...ეკვდერი წმიდისა დიდისა მოწამისა დიმიტრისა, რომელსა შინა დამარხულ არიან საჩინონი გუამნი“.*[21]

ეკვდერში გაწმენდითი არქეოლოგიური სამუშაოს ჩატარების შედეგად (კულტურული ფენის სიმძლავრე – 0,2-0,5 მ), გამოვლინდა ინტერიერის გეგმარების დამატებითი ელემენტები: აღმოსავლეთ კედელთან არსებული ტრაპეზის ქვის სამხრეთით, დაფიქსირდა კლდეში გამოკვეთილი მცირე ზომის მაგიდისებრი არქიტექტურული ფორმა, ხოლო სამხრეთ კედელ-



17. წმ. დიდმოწამე დიმიტრის ეკვდერი. გეგმა
Chapel of St. Dimitri. Plan

თან გამოვლინდა ერთმანეთისაგან 0,4 მეტრით გამოყოფილი ორი მერხი (სურ. 17). ქართული აგურით მოპირკეთებული იატაკის ქვეშ, როგორც მოსალოდნელი იყო – სამარხებია მოწყობილი. ამის საფუძველს იძლევა, როგორც წერილობითი მოწმობა[22] და ეკვდერის სამხრეთ კედელთან დაფიქსი-

[21] ტარასი არქიმანდრიტი, უდაბნო წმიდისა წინამორბედისა იოანე ნათლისმცემლისა, *საქართუელოს სასულიერო მახარობელი,* (1864), №9, გვ. 73.

[22] იქვე, გვ. 73.

რებული კლდეში ჩაჭრილი სამარხის კონტურები, ისე მონასტრის საძმოს მიერ უკანასკნელ ხანებში გახსნილი დასაკრძალავი.

ეკვდერში არსებული „საჩინონი გვამნი“-ს დასაკრძალავების შესასწავლად, საჭიროა იატაკის აგურის დაზიანებული ფენის მოხსნა, რაც მიზანშეწონილია ძეგლზე სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების ჩატარების თანმხლები, არქეოლოგიური მეთვალყურეობის დროს განხორციელდეს.

ქრისტიანული აღმოსავლეთის ანალოგიურად, სამარტვილეები (მონასტრის საძმოს გარდაცვლილ წევრთა წმინდა ნაწილების დასაკრძალავი სათავსები) გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანებაში საუკუნეთა განმავლობაში საკმაოდ გავრცელებულ სტრუქტურებს წარმოადგენდა. ისინი დასტურდება ბერთუბნის (VI-VII სს, მოგვიანოდ, X ს მოხატული და XI-XII სს განახლებული), წამებულის (VI-VII სს, ხელმეორედ გამოყენებული XVII-XVIII სს), უდაბნოს (XI-XII სს გადაკეთებულ-განახლებული და ხელმეორედ გამოყენებული XVII ს), პირუკუღმარის (IX-X სს) მონასტრებში, აგრეთვე წმ. დავითის ლავრაში (XVII ს).[23]

გარეჯის მრავალმთაში საუკუნეთა განმავლობაში არსებობდა სამაროვნების მოწყობის ტრადიციაც, რომელიც სამარტვილეების პარალელურად ჩამოყალიბდა: ქვაბებში სამაროვნები ადრეული შუა საუკუნეების ბოლოდან, სახელდობრ IX-X საუკუნეებიდან გვხვდება,[24] წმ. დავითის ლავრაში იგი გვიან შუა საუკუნეებში ფიქსირდება,[25] ხოლო წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში სამონასტრო ცხოვრების ბოლო ხანაში დასტურდება.[26]

XVII-XVIII საუკუნეების სენაკები, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების გამოქვაბულები

O ფართის, c-3 კვადრატში შევისწავლეთ სწორკუთხა გეგმის გამოქვაბული, წრიული ფორმის დამხმარე სათავსით (№1 არქეოლოგიური უბანი – სურ. 19). გამოქვაბულის საფასადო ნაწილში გამოვლინდა ნატეხი ქვით კირხსნარზე ნაგები კედლის წყობა, რომელიც უერთდება ქვაბის ძველ ნაშთს – ფასადის კედლის კლდოვან სტრუქტურას (სურ.18). გამოქვაბულის ჩრდილოეთ კედელში გაჭრილია სწორკუთხა ფორმის კარი და O-W ღერძზე დამხრობილი ნიშები; დასავლეთ კედელში თაღოვანი ნიშია გამოკვე-

---

[23] Z. Skhirtladze, Martyrs and Martyria in the Gareja Desert, in: *M. Kaplan ed., Monasteres, images, pouvoirs et societe a Byzance [Byzantina Sorbonensia, 23]* (Paris, 2006), p. 61-88.

[24] ბ. მჭედლიშვილი, ივრისპირის „ქვაბების“ არქეოლოგიური დაზვერვები, *საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები*, V(თბილისი, 1977), გვ. 157-159.

[25] *წმიდა დავით გარეჯელის უდაბნო. შედგენილი მღვდელ-მონაზონ კალისტრატესაგან* (ტფილისი, 1884), გვ. 24-25.

[26] ზ. თვალჭრელიძე, გარეჯის სამონასტრო ცხოვრების განვითარების ეტაპები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, გვ. 28.

თილი, სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს მერხია მოწყობილი, ხოლო კირით შელესილ იატაკში 0,3 მეტრი დიამეტრის ფოსოა. გამოქვაბულის ჩრდილოეთ კედლის სიღრმეში გამოკვეთილ სათავსის იატაკში სამეურნეო დანიშნულების ფოსოები (დიამეტრი – 11,16, 25 სმ) დაფიქსირდა. გამოვლენილი კულტურული ფენა (სიმძლავრე 0,8-1 მ) XVII- XVIII საუკუნეების არტეფაქტებს შეიცავდა.

გამოქვაბული, როგორც ეს არქეოლოგიური მასალითა და არქიტექტურული გეგმარებით ჩანს, განვითარებულ შუა საუკუნეებშია გამოკვეთილი. მისი საფასადო მხარე ჟამთა სიავის გამო, დროთა განმავლობაში დაზიანდა და გვიან შუა საუკუნეებში ქვაბის კლდოვანი სტრუქტურა ქვითკირის კედლით შეიცვალა.



18. № 1 არქეოლოგიური უბანი. № 9 გამოქვაბული. გათხრების პროცესი
Archaeological Plot 1. Cave 9. Process of the excavations

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის გალავნის ცენტრალური სექტორის, აღმოსავლეთის შემკვრელი კედლის გარეთ – L ფართის, a-3 კვადრატსა და K ფართის, c-3კვადრატში (№2 არქეოლოგიური უბანი – სურ. 20) ჩატარებული გათხრების შედეგად, გამოვლინდა პირველი იარუსის დამარხული გამოქვაბული. გამოქვაბულში დაფიქსირდა ორი კულტურული ფენა: ზედა, XVII-XVIII საუკუნეების და ქვედა, XI–XIII საუკუნეების მასალის შემცველი.

გამოქვაბულის სამხრეთის და აღმოსავლეთის მხარეს, გამოვლინდა ალიზისა და კირის ხსნარზე ნაგები ქვის კედლების წყობა (სურ. 21-22).

გამოქვაბულის ქვედა, XI–XIII საუკუნეებით დათარიღებულ ფენაში აღმოჩენილი რკინის წიდები, ნაცროვანი შრეები, იატაკში ამოკვეთილი ლითონის სადნობი ქურები და ნაწარმის საწრთობი – წყლის ფოსო, გამოქვაბულის სამჭედლო-სახელოსნოდ მიჩნევის რეალურ საფუძვლს იძლევა (სურ. 22).

ქვაბოვანი სამჭედლოს აღმოჩენით ვვარაუდობთ, რომ მონასტრის აღმოსავლეთ ნაწილში არქეოლოგიური კვლევის გაგრძელების შემთხვევაში, დასაშვებია კულტურული ფენებით დაფარული პირველი იარუსის გამოქვაბულებისა და მასთან დაკავშირებული ნაგებობების გამოვლენა.

რის შემდგომ, მონასტრის აღმოსავლეთი სექტორი რამოდენიმე იარუსად წარმოჩინდება და ამით არქიტექტურული ანსამბლის ფასადის აღნაგობა დამატებითი ელემენტებით შეივსება. თავის მხრივ, ეს საშუალებას მოგვცემს მეტი საბუთიანობით განისაზღვროს მონასტრის სტრუქტურული წყობა, სამოწესეო ცხოვრების სხვადასხვა საფეხურზე.

არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა მონასტრის დასავლეთ ნაწილში, იოანე ბოდბელის კოშკის ჩასწვრივ, პირველი იარუსის რეგისტრში H ფართის, b-2 კვადრატში (№ 3 არქეოლოგიური უბანი, დასავლეთი ნაკვეთი), სადაც შესწავლილ იქნა გამოქვაბულთა ჯგუფი – საკულტო, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ქვაბები (№39-43, სურ. 26, 29-32) და მასთან დაკავშირებული ქვითკირის ნაგებობა, იარუსების დამაკავშირებელი კიბეებისა და ლუკების სისტემა. აქვე, დაფიქსირდა ქართული სამონსტრო კერებისათვის ერთობ არაორდინარული ფაქტი – №40 გამოქვაბულში გამოვლინდა ქვითკირის აბაზანა, წყლის დონის მარეგულირებელი სისტემით და ბუხარი (სურ. 29-30). გამოქვაბულს სამხრეთის მხრიდან მიშენებული ჰქონდა სათავსი – ხის იატაკიანი ოთახი.



19. № 1 არქეოლოგიური უბანი. № 9 გამოქვაბული, დამხმარე სათავსით. გეგმა. ჭრილი
Archaeological plot 1. Cave 9 with facility Plan. Section

კულტურულ ფენაში (სიმძლავრე 1-1,3 მ) გამოვლენილი არტეფაქტების მიხედვით, გამოქვაბულები (№ 43 სენაკის გარდა) XVIII-XIX საუკუნეებით თარიღდება.

მონასტრის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, არქიტექტურული კომპლექსის ფასადის წინა ტერასაზე – G ფართის, b-2 კვადრატში (№4 არქეოლოგიური უბანი) გაითხარა დიდი მოცულობის გამოქვაბული. გათხრებმა ცხადჰყო, რომ გამოქვაბული შედგებოდა სხვადასხვა დონეზე გამოკვეთი-



20. № 2 არქეოლოგიური უბანი. ხედი დასავლეთიდან
Archaeological plot 2. View from the west

ლი ორი, დაახლოებით თანაბარი ზომის ქვაბისგან (სურ. 33-34), რომელთა შორის გამოვლინდა 2,1 მეტრი სიგანის გასასვლელი.

დასავლეთით მდებარე გამოქვაბულში (კულტურული ფენის სიმძლავრე 1-1,2 მ) ნულოვანი წერტილიდან 0,25-0,9 მეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა XVIII-XIX საუკუნეებით დათარიღებული მასალა, ხოლო 1,1 მეტრის დონეზე, XI-XII საუკუნეების არტეფაქტები.

აღმოსავლეთით მდებარე ნიშა-თაროებიანი გამოქვაბულის იატაკში დაფიქსირდა წრიული ფორმის, დერგების ჩასადგმელი ფოსოები. კულტურული ფენა (სიმძლავრე – 0,6-0,7 მ) შეიცავდა XVIII-XIX საუკუნეების მასალას.

როგორც ჩანს, გამოქვაბული სამონასტრო ცხოვრების გვიანდელ ხანაში, სამეურნეო დანიშნულების ფუნქციას ასრულებდა.

სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობები

მარნის კომპლექსი – შიდა ეზოს K ფართის, b-2 და c-3 კვადრატებში (№3 არქეოლოგიური უბანი), ნულოვანი წერტილიდან 1,5-1,7 მეტრ სიღრმეზე, გამოვლინდა 0,8-1 მეტრი სიმძლავრის, IX–XIII საუკუნეების მასალის შემცველი მეორე, ქვედა კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა მარნის ნაშთებს: აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე დამხრობილ ქვითკირის კედლების წყობისა და ქვევრების მრავალრიცხოვან ფრაგმენტებს,



21. № 2 არქეოლოგიური უბანი. საკონტროლო ჭრილები. ნაგებობათა ნაშთები
Archaeological plot 2. Control section. Remains of buildings

ნაგებობის გადახურვის კონსტრუქციის ელემენტებს – კლდის ქანობში ჩაჭრილ ორმოს, ხის ძელის ნაშთით და სწორკუთხა ფორმის ქვიშაქვის კვადრებით აგებულ, კირხსნარით შელესილ საწნახელს.

სამზარეულო კომპლექსი – მონასტრის შიდა ეზოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, K ფართის, b-1 კვადრატში (№ 3 არქეოლოგიური უბანი) გამოვლინდა გამოქვაბულის ღიობში ჩაშენებული საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაგებობის კედლის ნაშთები და მასში გამართული, წრიულ ფუძეზე ქართული აგურით ნაგები, გუმბათისებრი ფორმის ფურნე (სურ. 23, ფერადი ტაბ. V_1). იქვე აღმოჩნდა პურის ცხობის პროცესის წყლით უზრუნველყოფის მიზნით ჩადგმული ქვევრი, მცირე მოცულობის კერა – ე.წ. „ცეცხლის შესახვევი“ და ძლიერ დაზიანებული ღუმელის ნაშთები (სურ. 24-25). კულტურული ფენა (სიმძლავრე 1-1,2 მ) შეიცავდა მონასტრის არსებობის ბოლო პერიოდის, XVIII-XIX საუკუნეების არტეფაქტებს.

საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსი – საფორტიფიკაციო სისტემის გარეთ, მონასტრის დასავლეთ ნაწილში, მის ქვედა ტერასაზე, C ფართის, a-2,3 კვადრატში და F ფართის, a-1,2 კვადრატში (№ 5 არქეოლოგიური უბანი) გაითხარა: ქვიშაქვის კვადრებით ალიზის ხსნარზე აგებული ერთოთახიანი ბუხრიანი სახლი (სურ. 35-36, ფერადი ტაბ. V_2) და წყლის რეზერვუარი – თაღური გადახურვით, ხოლო F ფართის, a-1,2 კვადრატში – საჯინიბო.

კულტურულ ფენებში (სიმძლავრე 1-1,5 მ), გამოვლენილი ნივთიერი მასალისა და მშენებლობის მეთოდის მიხედვით, კომპლექსის საცხოვრებელი და სამეურნეო სტრუქტურები XIX საუკუნით თარიღდება.



22. №2 არქეოლოგიური უბანი. გეგმა. ჭრილები
Archaeological plot 2. Plan. Sections

საფორტიფიკაციო სისტემის ცენტრალური ნაწილის აღმოსავლეთი კედლის გარეთ, K ფართის, a-3 კვადრატში და O ფართის, a-1 კვადრატში (№ 2 არქეოლოგიური უბანი – სურ. 20), როგორც აღვნიშნეთ გამოვლინდა ქვის ნაგებობების განსხვავებული კონსტრუქციის ნაშთები (სურ. 21-22), რომელთა ნაწილი (XI–XIII სს) დაკავშირებული იყო ქვაბოვან სამჭედლო-სახელოსნოსთან, ხოლო მეორე ნაწილი (XVIII-XIX სს) წარმოადგენდა გალავანზე მიშენებული ბანიანი სახლების ნაშთებს.

როგორც არქეოლოგიური გათხრებით დადგინდა, სახლების ბანიანი გადახურვა მონასტრის საფორტიფიკაციო სისტემის ქონგურებთან მიახლოებულ ჰორიზონტულ დონეზე გადიოდა, რაც გალავნის გასწვრივ ბერმონაზონთა მოძრაობის საშუალებას იძლეოდა (სურ. 22). ამგვარად, ამ შემაღლებულ ტერასებს დამატებითი, სტრატეგიული დატვირთვაც გააჩნდა.

ჰიდროტექნიკური სისტემა

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ქედის ჩრდილოეთის ფერდზე არსებულ სამეურნეო ზონასა (D ფართის, a-1, b-2 და c-3 კვ.; G ფართის, c-1 და a-3 კვ.; H ფართის, a-2, b-2 და c-3 კვ.; L ფართის, a-1, b-1, c-3 კვ.; P ფართის, a-1, b-1, c-1 კვ.; T ფართის, a -1, b -1, c-1 კვ.; U ფართის, a-1-3 კვ.; Y ფართის, a-1, b-1 კვადრატში – №6 არქეოლოგიური უბანი) და არქიტექტურული კომპლექსის ფასადის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, C ფართის, c-1 კვადრატში

(№4 არქეოლოგიური უბანი), შესწავლილ იქნა მონასტრის წყლით მომარაგების ერთ-ერთი მთავარი წყარო, მაღალ საინჟინრო დონეზე გადაწყვეტილი XVII–XIX საუკუნეების ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სისტემა – კლდეში ნაკვეთი ლაკვები, არხები, გამფილტრავი აუზი, წყლის დინებისა და დონის მარეგულირებელი ქვითკირის ნაგებობა (სურ. 53-55).

არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მეტი სიცხადით წარმოჩინდა მონასტრის წყალმომარაგების სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი მონაკვეთის გეგმარებისა და ფუნქციონირების სურათი: გაირკვა, რომ არქიტექტურული კომპლექსის ჩრდილოეთი კალთის ფერდობის ზედა რეგისტრში, კლდის მასივში გაჭრილი ღარების მეშვეობით, წვიმის წყალი ჩაედინებოდა აღმოსავლეთ სექტორში არსებულ ლაკვებში; ლაკვების შევსების შემდეგ, სამეურნეო ფართის შუა ტერასაზე გაჭრილი არხის საშუალებით, წყლის ნაკადი მიედინებოდა კომპლექსის დასავლეთ სექტორში არსებული ლაკვისკენ. სამეურნეო ზონის მონაკვეთში, არხი ივსებოდა ფერდობის ზედა რეგისტრიდან ჩამომდინარე წვიმის წყლის ნაკადით, რომელიც ნაწილდებოდა სამეურნეო ზონის ქვედა ტერასაზე არსებული ბაღების მოსარწყავად; შემდგომ, წყლის დანარჩენი ნაკადი გამფილტრავი აუზის გავლით, ჩაედინებოდა სამონასტრო კომპლექსის საფასადო ტერასის, დასავლეთი სექტორის ცენტრალურ ლაკვაში. ლაკვის შევსების შემდეგ, წყლის დინების მარეგულირებელი ქვიტკირის ნაგებობის ჩამკეტი „სარკმლის“ გავლით (სურ. 54), წყალი მიემართებოდა მის წინ (სამხრეთით) გაჭრილი არხისკენ და ჩაედინებოდა მონასტრის ქვედა ტერასაზე, C ფართის, a-2 კვადრატში არსებულ თაღოვან რეზერვუარში.

საფორტიფიკაციო სისტემა

წერილობით წყაროებზე და ხუროთმოძღვრულ ანალიზზე დაყრდნობით არსებობდა მოსაზრება, რომლის თანახმადაც მონასტრის კოშკებიანი გალავანი არქიტექტურული კომპლექსის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებს საზღვრავდა, ხოლო მისი მშენებლობისა და რეკონსტრუქციის ქრონოლოგიური პერიოდი, XVII ს–XIX საუკუნის 20-იან წლებს მოიცავდა.[27] გალავნის შესასწავლად ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა მნიშვნელოვნად შეცვალა არსებული სურათი (სურ. 5, 47-50, 52):

I. გალავნის ცენტრალურ ნაწილში, სტრატიგრაფიული მონაცემებისა და მშენებლობის სტრუქტურაში არსებული სხვაობის გათვალისწინებით, გამოიყო თავდაცვითი სისტემის მშენებლობისა და ფუნქციონირების სამი ქრონოლოგიური პერიოდი: 1. XI–XIII სს, 2. XVII-XVIII სს და 3. XIX ს-XX საუკუნის დასაწყისი.

II. გალავნის დასავლეთი ნაწილის ქრონოლოგია, XVIII-XIX საუკუნეებით განისაზღვრა (სურ. 37, 44).

---

[27] Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 100-101, 110, 113 -115.



23. № 3 არქეოლოგიური უბანი. ფურნე. გათხრების პროცესი
Archaeological plot 3. Bread-oven. Process of excavations



24. № 3 არქეოლოგიური უბანი. სამზარეულო კომპლექსი. გეგმა. ჭრილი
Archaeological plot 3. Kitchen Complex. . Plan. Section



25. № 3 არქეოლოგიური უბანი. გენგეგმა
Archaeological plot 3. General plan

III. სამონასტრო კომპლექსის ფასადის აღმოსავლეთი ნაწილის მთელ განშლაზე (K ფართის, c-3 კვ; O ფართის, a-1,2, b-1,2, c-2,3 კვ; P ფართის, a-3 კვ. – სურ. 46), გამოვლინდა საფორტიფიკაციო სისტემის აქამდე უცნობი ნაშთები. O ფართის, c-2,3 კვადრატებში დაფიქსირდა დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე დამხრობილი კედლის ბურჯებიანი ფრაგმენტები (სურ. 47), რომელიც P ფართის, a-3 კვადრატში მართი კუთხით უხვევს ჩრდილოეთის მიმართულებით და საზღვრავს გამოქვაბული კომპლექსის აღმოსავლეთ ნაწილს. გამოვლენილი თავდაცვითი სისტემის კონსტრუქციის ნაშთები, მშენებლობის მეთოდის მიხედვით, ტიპოლოგიურ მსგავსებას იჩენს გალავნის ცენტრალური ნაწილის, ქვედა სამშენებლო ფენასთან და სტრატიგრაფიული მონაცემებით XI–XIII საუკუნეების ქრონოლოგიური საფეხურით თარიღდება.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგინდა გალავნის, როგორც მშენებლობისა და რეკონსტრუქციის სამი ეტაპი, ისე თითოეულ ეტაპზე თავდაცვითი სისტემის გავრცელების საზღვრები:

I ეტაპი, XI–XIII სს – გალავანი ფუნქციონირებდა მონასტრის ცენტრალურ და აღმოსავლეთ სექტორში;

II ეტაპი, XVII-XVIII სს – გალავანი ფუნქციონირებდა მონასტრის მთელ ტერიტორიაზე;

III ეტაპი, XIX-XX საუკუნის დასაწყისი – გალავანი ფუნქციონირებდა მონასტრის ცენტრალურ და დასავლეთ სექტორში.



26. №3 არქეოლოგიური უბანი. დასავლეთი სექტორი. გამოქვაბულთა ჯგუფი
Archeological plot 3. Western sector. Group of caves



27. კლდის სახლი. გეგმა. ჭრილი
Cave house. Plan. Section

სამაროვანი

შიდა ეზოში ზედაპირულად არსებული საფლავის წარწერიანი ქვები მოწმობდა, რომ მონასტრის ამ მონაკვეთში მოწყობილი იყო სამაროვანი.[28] შიდა ეზოსა და სამაროვნის სტრატიგრაფიის დადგენის მიზნით K ფართის, ხ-2,3 და ც-2 კვადრატებში ჩატარდა არქეოლოგიური სამუშაოები. გაიხსნა თხუთმეტი სამარხი, რომელშიც გამოიყო სამი ტიპოლოგიური ჯგუფი: ქვაყუთები (მათ შორის №1 დარბეული სამარხი), კლდეში ჩაჭრილი სამარხები და ორმოსამარხები (სურ. 39-43). სამაროვნის კულტურული ფენის სიმძლავრე 1,2-1,3 მეტრია, დაკრძალვა ქრისტიანულია; სამარხები უინვენტაროა, გარდა ორისა: №10 სამარხში აღმოჩნდა მინის ჭიქა, ხოლო №13 სამარხში – ხის ჯვარი. სამარხები მონასტრის არსებობის ბოლო პერიოდით თარიღდება.



28. კლდის სახლი. გეგმა. ჭრილები
Cave house. Plan. Sections

სამაროვანზე სამარხების ქვედა კულტურული ფენა არ დაფიქსირდა, რაც ხელშესახებ საბუთს იძლევა იმის თაობაზე, რომ წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ადრე და განვითარებულ შუა საუკუნეებში სამარტვილეების არსებობა ვივარაუდოთ.

გარეჯის მრავალმთაში სამარტვილეების მოწყობის ტრადიცია, როგორც აღნიშნული გვაქვს, და რაც არქეოლოგიურმა კვლევამაც დაადასტურა, ადრეული შუა საუკუნეებიდან თავს იჩენს – წმ. დავითის ლავრაში გაიხსნა წმ. დავითის განსასვენებელი,[29] ხოლო წამებულში შესწავლილ იქნა უძველესი ხანის სამარტვილე.[30] მრავალმთაში დასაკრძალვების ამგვარი

---

[28] სამაროვნის არქეოლოგიური შესწავლა განაპირობა მონასტრის შიდა ეზოში არსებულმა გარემოებამ: მარბიელთა მიერ დამსხვრეული დაგვხვდა სამარხების მარმარილოს წარწერიანი ფილები; სამარხის ქვების ნაწილი ფერდობზე იყო გადაყრილი, ხოლო ნაწილი იქვე არსებულ ხაროში აღმოჩნდა; დარღვეული სამარხებიდან ამოყრილი მიცვალებულთა ნეშტის ნაწილები შიდა ეზოში იყო მიმოფანტული.

[29] ზ. სხირტლაძე, ზ. თვალჭრელიძის, ქ. აბაშიძის, თ. ბერიძის, ნ. დადიანის, მ. კიკნაძის მონაწილეობით, *წმ. დავით გარეჯელის განსასვენებელი* (თბილისი, 2006).

[30] ზ. სხირტლაძე, ზ. თვალჭრელიძე, გამოქვაბული სამარტვილე წამებულში, *Academia*, I (2001), გვ. 50-55.

სტრუქტურა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების განმავლობაშიც განაგრძობდა არსებობას – იგი დადასტურებულია პირუკუღმარის, ბერთუბნის, მოწამეთასა და წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრებში.

სტრატიგრაფიული ჭრილები – წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქეოლოგიური კვლევის დროს, ძეგლის სტრატიგრაფიის დასადგენად არსებითი მნიშვნელობა მიენიჭა არქიტექტურული კომპლექსის წინ არსებული ფერდობის შესწავლას. ამ მიზნით გაიჭრა საძიებო თხრილები ფერდობის სხვადასხვა რეგისტრში (O ფართის, b-2, c-2,3 კვ.; V¹ ფართის, a-1 და b-1 კვ.; L ფართის, a-3 და c-3 კვ.; F ფართის, a-1 და b-2 კვ.; K ფართის, a-2 კვ-ში). გამოვლინდა განსხვავებული სიმძლავრისა და ქრონოლოგიური პერიოდის (IX-X სს, XI–XIII სს, XVII–XIX სს) კულტურული ფენები, რომლებიც ნივთიერ მასალასთან ერთად შეიცავდნენ გალავნისა და ტერასების არქიტექტურულ ფრაგმენტებს.

ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე შევეცადეთ მოკლედ, ძირითადი აქცენტების ხაზგასმით, წარმოგვედგინა წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ჩატარებული მრავალწლიანი საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიმდინარეობის პროცესი და მისი ძირითადი შედეგები. ამავე დროს გვინდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის დღევანდელ ეტაპზე მონასტრის არქეოლოგიური შესწავლა ახალ ფაზაში შევიდა – მონასტერი საქართველოს საპატრიარქოს ხელდებული კერა გახდა და მასში სამოწესეო ცხოვრების აღდგენის თანხვედრად, არქიმანდრიტ იოანეს (კიკვაძე) ლოცვა-კურთხევით, მასშტაბური სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ასეთი მნიშვნელოვანი პროცესების გვერდით, შესასწავლი რჩება არქიტექტურული კომპლექსის აღმოსავლეთი სექტორი, სამეცნიერო თვალსაზრისით მეტად საინტერესო არქეოლოგიური უბანი.

არსებული რეალიების გათვალისწინებით სასურველია, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიება მონასტრის აღმოსავლეთ სექტორში კვლავ გაგრძელდეს, რათა გარეჯის მრავალმთის სამონასტრო გაერთიანებაში ხელთ გვქონდეს, თუნდაც ერთი მონასტრის არქეოლოგიური შესწავლის მეტნაკლებად სრული სურათი. ამ მიმართებით ჩატარებული სამუშაოები ხელს შეუწყობს, როგორც მონასტრის ისტორიულ-კულტურული თუ ყოფითი საკითხების მეტი სიცხადით შესწავლას, ისე გარეჯის მრავალმთის სამოწესეო ცხოვრებისა და ქართული მონასტიციზმის პრობლემების უკეთ წარმოჩენას.

განსახორციელებელი არქეოლოგიური კვლება-ძიების მასშტაბურობისა და მრავლისმომცველობის გამო სასურველია, რომ სამუშაო პროცესში არქეოლოგებთან ერთად საპატრიარქოსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს შესაბამისმა სტრუქტურებმა, სტუდენტმა ახალგაზრდობამ და მეცენატებმა მიიღონ მონაწილეობა.

თავი II

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქეოლოგიური მასალები. ქრონოლოგიური და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის სულიერი, კულტურული და ყოფითი ცხოვრების ამსახველი ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონის, მრავალფეროვანი ნივთიერი მასალა: მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკა, ფაიანსი, მინის, ხისა და ლითონის ნაწარმი, მონეტები. განხორციელდა გამოვლენილი არტეფაქტების ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური კლასიფიკაცია.

კერამიკა

მოუჭიქავი ჭურჭელი

ქრონოლოგიური კლასიფიკაციით მოუჭიქავ ჭურჭელში გამოიყო სამი ეტაპი:

I. **განვითარებული შუა საუკუნეები (XI–XIII სს);**
II. **გვიანი შუა საუკუნეები (XVII-XVIII სს);**
III. **ახალი ხანა (XIX ს).**

ტექნოლოგიური და სტილისტიკური ნიშნებით მოუჭიქავ ჭურჭელში გამოიყო:

თიხის წითელკეციანი ჭურჭელი;
წერნაქიანი ჭურჭელი;
მოთეთრო თიხის ჭურჭელი.

თიხის წითელკეციანი ჭურჭელი – დანიშნულების მიხედვით მასში გამოიყო:

სუფრის ჭურჭელი: ჯამები (XI–XIII სს); დოქები: **ა.** ორნამენტირებული და **ბ.** ზოომორფულ გამოსახულებიანი (XI–XIII სს); **გ.** მილიანი ანუ ჩაიდნისებური (XI–XIII სს; XVII-XVIII სს) ტიპები;

სამზარეულო ჭურჭელი: ქოთნები, ქვაბ-ქოთნები (სადა და ორნამენტირებული), ბადიები (ორნამენტირებული), ლუთერები და ქილები (სადა და ორნამენტირებული) – XI–XIII სს;



29. №3 არქეოლოგიური უბანი. №40 გამოქვაბული. ინტერიერი. აბაზანა
Archaeological plot 3. Cave 40. Interier . Bath



30. №3 არქეოლოგიური უბანი. №40 გამოქვაბული. ინტერიერი. ბუხარი
Archaeological plot 3. Cave 40. Interier . Fireplace



31. №3 არქეოლოგიური უბანი. დასავლეთი სექტორი. გათხრების პროცესი
Archaeological plot 3. Western sector. Process of excavations



32. №3 არქეოლოგიური უბანი. №40-43 გამოქვაბულთა ჯგუფი. გეგმა
Archaeological plot 3. Group of caves 40-43. Plan

საღვინე ჭურჭელი: კოკები (ორნამენტირებული) და ჩაფები (XI–XIII სს);
სამეურნეო-საღვინე ჭურჭელი: დერგები (სადა და ორნამენტირებული);
ქვევრები (სადა და ორნამენტირებული) – XI–XIII სს.

წერნაქიანი ჭურჭელი – წარმოდგენილია საოჯახო დანიშნულების სუფრის ჭურჭლით:

ჯამები – გამოიყო ორი ქრონოლოგიური ჯგუფი: განვითარებული შუა საუკუნეები (XI–XIII სს); გვიანი შუა საუკუნეები (XVII-XVIII სს) – აერთიანებს ორ ტიპოლოგიურ ჯგუფს: **ა.** ჯამები, გვერდისგან მკვეთრად გამოყოფილი ქიმებით და **ბ.** ჯამები, მრგვალპროფილიანი კალთებით;

თეფშები – **ა.** სადა, რელიეფური და **ბ.** რელიეფური, ჩაღარული პირებით (XVII-XVIII სს);

ფიალები (XVII-XVIII სს);

დოქები – **ა.** სადა და ორნამენტირებული (XI–XIII სს); **ბ.** სადა და ორნამენტირებული (XVII-XVIII სს);

ხელადები (XI–XIII სს).

ჩიბუხები – **ა.** ორნამენტირებულ-დამღიანი, მოწერნაქებული (XVII-XVIII სს) და **ბ.** სადა, მოწერნაქებული (XVII-XVIII სს) ტიპები.

მოთეთრო თიხის ჭურჭელი – გამოიყო ექვსი ტიპოლოგიური ჯგუფი: პირტალღიანი (ჭინჭილები) – XI–XIII სს; კოპებით შემკული (დოქები, ხელადები, ფინჯნისებური სასმისები) – XI–XIII სს – გამოიყო: **ა.** სადა, მოუხატავი და **ბ.** მოხატული სახეობები; კანელურებიანი (დოქები, სასმისები) – XI–XIII სს; წითელი და შავი საღებავებით მოხატული (დოქები, სასმისები და ჭინჭილები) – XI–XIII სს – კეცის მიხედვით მასში გამოიყო: **ა.** ჩალისფერკეციანი და **ბ.** მოწითალო კეციანი (გამონაკლისის სახით) ტიპები; ჭდეური სახეებით შემკული დოქი – XII ს; მილიანი ანუ ჩაიდნისებური დოქები – XI–XIII სს.

მოჭიქული კერამიკა

ქრონოლოგიური კლასიფიკაციით მოჭიქულ კერამიკაში გამოიყო ხუთი პერიოდი:

I. ადრე შუა საუკუნეებიდან განვითარებულ შუა საუკუნეებში გარდამავალი ხანის (IX-X სს) მოჭიქული ჭურჭელი

IX-X სს მოჭიქული ჭურჭელი იყოფა ორ ჯგუფად: **ა.** შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მოხატული, უფერო ჭიქურით დაფარული და **ბ.** ფერადი საღებავის ნაღვენთებით შემკული ჭურჭელი.

II. განვითარებული შუა საუკუნეების (XI–XIII სს) მოჭიქული ჭურჭელი

XI-XII სს მოჭიქული ჯამები – იყოფა სამ ჯგუფად:

I ჯგუფი – შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მოხატული და ერთფრად (ცისფრად, მწვანედ და ყავისფრად) მოჭიქული ჯამები;

II ჯგუფი – თეთრად ანგობირებულ კეცზე ამოკაწვრით (სგრაფიტოს ხერხი) მოხატული და ერთფრად (ცისფრად, მწვანედ და ყავისფრად) მოჭიქული ჯამები;

III ჯგუფი – რეზერვაციის ხერხით მოხატული ჯამები.

XII–XIII სს მოჭიქული ჭურჭელი – იყოფა ორ ჯგუფად:

I ჯგუფი – ჭურჭელი, რომლის ორნამენტი ანგობირებულ შიდაპირზე სგრაფიტოს ხერხითაა გამოყვანილი, შემკულია სხვადასხვა ფერის საღებავებით და გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. ორნამენტის მიხედვით მასში გამოიყო: ადამიანის (სირინოზის), ფრინველის, ცხოველის, მცენარეული, გეომეტრიული და სტილიზებული გამოსახულებით შემკული სახეობები.

II ჯგუფი – ჭურჭელი, რომლის ორნამენტი ანგობირებულ შიდაპირზე ფუნჯითაა მოხატული და შემკულია: **ა.** ერთი ფერის საღებავით (ერთფრად მოჭიქული) და **ბ.** ფერადი საღებავებით (მრავალფრად მოჭიქული).

ჭრაქები – ნიჟარისებური, ერთფრად (ცისფრად, მწვანედ და ღვიძლისფრად) მოჭიქული ტიპები (XI–XIII სს).

სამარილეები – ცისფრად და მწვანედ მოჭიქული ტიპები (XI–XIII სს).

III. განვითარებული შუა საუკუნეებიდან გვიან შუა საუკუნეებში გარდამავალი ხანის (XIV ს) მოჭიქული ჭურჭელი

წარმოდგენილია მოჭიქული ჯამების იმიტაციებით, რომელთა ორნამენტაციაში გვხვდება გეომეტრიული ორნამენტი და ე.წ. სვასტიკის გამოსახულება.

მონასტერში იმიტაციური ჭურჭლის დამზადება, მოჭიქული კერამიკის წარმოების დაქვეითების პროცესს ასახავს, რაც ამ პერიოდში ქვეყანაში და შესაბამისად, გარეჯის მრავალმთაშიც შექმნილი რთული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებით იყო გამოწვეული.

IV. გვიანი შუა საუკუნეების (XVII-XVIII სს) მოჭიქული ჭურჭელი

ჯამები – იყოფა ორ ჯგუფად: **ა.** თეთრად ანგობირებული, ერთფრად (მწვანედ, ყავისფრად) მოჭიქული და **ბ.** ყვითლად ანგობრებული, უფერო ჭიქურით დაფარული ტიპები.

ჭინჭილები – იყოფა ორ ჯგუფად: **ა.** ერთფრად (ცისფრად) მოჭიქული და **ბ.** ფერადი საღებავით მოხატული, უფერო ჭიქურით დაფარული ტიპები.

V. ახალი ხანის (XIX ს) მოჭიქული ჭურჭელი

დოქები – სადა, ერთფრად (რძისფრად, ცისფრად, მწვანედ) მოჭიქული.



33. №4 არქეოლოგიური უბანი. გამოქვაბული არქიტექტურული კომპლექსის დასავლეთ სექტორში

Archaeological plot 4. Cave in western section of architectural complex

ჯამები – იყოფა ორ ჯგუფად: **ა.** უორნამენტო, ერთფრად (რძისფრად, ცისფრად, ლურჯად) მოჭიქული; **ბ.** ფერადი საღებავით მოხატული, უფერო ჭიქურით დაფარული, რომელთა ორნამენტაციაში გამოყენებულია გეომეტრიული, მცენარეული მოტივები და ფერადი საღებავის ნაღვენთებით შემკობის ხერხი.

თეფშები – რძისფრად მოჭიქული.

ფიალა – ფერადი საღებავით (ცისფრად) მოხატული, უფერო ჭიქურით დაფარული.

ჭიქა – ცისფრად მოჭიქული.

ფაიანსი (ფრაგმენტული) – წარმოდგენილია ორი ქრონოლოგიური ჯგუფით:

განვითარებული შუა საუკუნეები: **ა.** დოქი – რელიეფური ორნამენტით შემკული, კობალტის ლურჯი საღებავით დაფარული (XII-XIII სს); **ბ.** ვაზა – ლუსტრით მოხატული, შემკული ორნამენტულ ფონზე წარმოდგენილი ქალი სახით (XII-XIII სს).

გვიანი შუა საუკუნეები – **ა.** თეფშები ერთფრად (ლურჯად, ფირუზისფრად) მოჭიქული (XVI–XVIII სს); **ბ.** თეფშები კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული (XVII-XVIII სს); **გ.** ვაზა – კობალტის ლურჯი საღბავით მოხატული, გამჭვირვალე ჭიქურით დაფარული (XVII-XVIII სს).



34. №4 არქეოლოგიური უბანი. გამოქვაბული არქიტექტურული კომპლექსის დასავლეთ სექტორში. გეგმა. ჭრილი

Archaeological plot 4. Arched cave in western section of architectural complex

სამშენებლო კერამიკა

კრამიტი – **ა.** ბრტყელი, ბორტებიანი (უორნამენტო და ორნამენტიანი – ჯვრის რელიეფური გამოსახულებით) – XI–XII სს, **ბ.** ღარისებრი (XVII-XVIII სს) და **გ.** ბრტყელი – ქიმიანი (XIX ს) ტიპები.

აგური – **ა.** ქართული, ოთკუთხა (XVII–XIX სს) და **ბ.** სწორკუთხა (XIX ს) ფორმის.

მილი – წითელკეციანი, მრგვალგანივკვეთიანი.

შორენკეცი – წარმოდგენილია ორი სახეობით: **ა.** სადა, ცისფრად მოჭიქული და **ბ.** რელიეფური ორნამენტით შემკული, რძისფრად მოჭიქული.

მინის ნაწარმი – **ა.** სასმისები, თხელკედლიანი – ე.წ. „ძაბრისებური“ ტიპი (XII-XIII სს); **ბ.** ლამპრები (XVIII-XIX სს); **გ.** სამედიცინო დანიშნულების ჭურჭელი და ნივთები (XVIII-XIX სს); **დ.** კრიალოსანი (XVIII-XIX სს). განსაკუთრებით მრავალფეროვანია მონასტრის არსებობის ბოლო მონაკვეთის, XIX ს მინის ჭურჭლის კოლექცია, რომელშიც გამოიყოფა ქართული, რუსული და დასავლეთ ევროპული ნაწარმი.

ხის ნივთები – **ა.** კანკელის დეკორის ორნამენტული ნიმუშები (XVIII ს); **ბ.** სახელოსნო დანიშნულების ხელსაწყო (XVIII-XIX სს); **გ.** საეკლესიო სიმბოლო – ჯვარი (XIX ს).

ლითონის ნაწარმი – **ა.** რკინის წალდი (XI–XIII სს); **ბ.** სპილენძის თეფშები (XVII-XVIII სს); **გ.** ბრინჯაოს შანდლის სადგარი, მეფე თეიმურაზ II-ის წარწერით (XVIII ს); **დ.** წიგნის ყდის, სპილენძის დეკორატიული ფირფიტები (XVIII-XIX სს); **ე.** სამეურნეო დანიშნულების იარაღები და მჭედლობასთან დაკავშირებული ხელსაწყოები (XVIII–XIX სს).

მონეტები (სპილენძი) – თამარ მეფის მონეტა (1187 წ); თამარ მეფის მცირე ნომინალი – რუსუდანის დამღით (1187 წ) და ლაშა გიორგის მონეტა (1210 წ).

წიდები – მინის და რკინის წიდების აღმოჩენა სხვა არტეფაქტებთან ერთად იძლევა საფუძველს, რომ მონასტერში კერამიკისა და ლითონის საწარმო-სახელოსნოების არსებობა ვივარაუდოთ.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი: სამოწესეო ცხოვრების განვითარების ეტაპები

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქეოლოგიური კვლევის შედეგად მოპოვებული მასალების შეჯერება ნარატიულ წყაროებთან, ეპიგრაფიკულ ძეგლებთან და სახელოვნებათმცოდნეო მონაცემებთან, საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ სავანის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის კატაკლიზმებით აღსავსე პროცესებს, სამონაზვნო ცხოვრების დაარსების, განვითარებისა და მინელების ეტაპებს:

პირველი ეტაპი, მონასტრის დაფუძნების ხანა (VI–VIII სს) – წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის დაარსების დროინდელი არქეოლოგიური მასალა ჯერ-ჯერობით არ გამოვლენილა, თუ არ ჩავთვლით VI-VII საუკუნეებით დათარიღებულ სტელას,[31] VI–VIII საუკუნეების შემთხვევითი ფორმის გამოქვაბულებსა[32] და წერილობითი წყაროს ცნობას, რომლის მიხედვითაც *„ბრძანებითივე მამისა დავითისა აღეშენა უდაბნო მრავალმთისა სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლისმცემლისასა.“*[33]

არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა, რომ საუკუნეთა განმავლობაში მონასტერში ინტენსიური სამოწესეო ცხოვრების უწყვეტობამ, ადრეული ხანის კულტურული ფენების წაშლა გამოიწვია.

მეორე ეტაპი, გარდამავალი ხანა (IX-X სს) – მრავალმთის სამოწესეო ცხოვრებაში ამ ეტაპზე მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. თანდათანობით განხორციელდა ძირეული ცვლილებები – ადრეული ხანის ეგვიპტურ-სირიული მიმდინარეობის ხაზგასმული სიმკაცრით გამორჩეულმა ასკეტიზმმა, მრავალმთაში ადგილი დაუთმო სამონასტრო ორგანიზაციის ახალ პრინციპებს: წინ წამოიწია წმინდანთა ინსტიტუტის პოპულარიზაციის იდეამ და

---

31 Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 31-32.

32 იქვე, გვ. 36.

33 *ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციები, ილ. აბულაძის რედაქციით* (თბილისი, 1965), გვ. 184.

გარეჯის ურთიერთობამ საქრისტიანო აღმოსავლეთის სხვადასხვა სამონასტრო კერებთან.[34]

წმ. დავითის ლავრის, წმ. იოანე ნათლისმცემლისა და წმ. დოდოს მონასტერთა გვერდით დაარსდა ახალი სამონასტრო განშტოებები – საბერეები, მრავალწყარო, წამებული, უდაბნო, თეთრი უდაბნო. ჩამოყალიბდა ეკლესია-სამლოცველოთა გამოკვეთის კანონიკური ფორმები, რომელსაც საფუძვლად დაედო უფლის ფერისცვალების ეკლესიის არქიტექტურული გეგმარება. საბერეებსა და თეთრ უდაბნოში შეიქმნა სწორუპოვარი მოხატულობები.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის სამოწესეო ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა თავი იჩინა კომპლექსის არქიტექტურასა და ყოფაში. ამ დროს გამოქვაბულ კომპლექსთან გაჩნდა ქვითკირის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, ხოლო სამონასტრო ცხოვრებაში თიხის უბრალო ნითელკეციან კერამიკასთან ერთად, ხმარებაში შემოვიდა მოჭიქული ჭურჭელი.

ამ პერიოდში, როგორც ჩანს, დაიწყო მონასტრის სალიტერატურო-საგანმანათლებლო კერად და გარეჯის საეკლესიო სენიორიის შემადგენელ ნაწილად ჩამოყალიბების პროცესი, რასაც მიანიშნებს სინას მთის, წმ. ეკატერინეს მონასტერში აღმოჩენილ (№/Sin-50) ხელნაწერში და მის ჩანართში დაცული ცნობა: „გარერჩას, იოანე-წმიდას, მრავალმთას“ მონასტერში ბიბლიოთეკისა და საგანძურის არსებობის შესახებ[35].

მესამე ეტაპი, აღმავლობის ხანა (XI–XIII სს) – წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი ამ დროს განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. დაიწყო სამონასტრო ცხოვრების აღმავლობის ხანა, რომელმაც თავის მწვერვალს XII-XIII სს მიჯნაზე მიაღწია – მონასტერი სამეფო კარის ხელდებული კერა და ქვეყნის უმნიშვნელოვანესი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი გახდა.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის არქიტექტურასა და ფერწერულ ძეგლებში აისახა ეპოქის სული. გამოიკვეთა და დიდებული მხატვრობით მოიხატა წმ. იოანე ნათლისმცემლის შობის მთავარი ტაძარი, ეკლესია-სამლოცველოები, ეკვდერი; შეიქმნა იარუსების დამაკავშირებელი გვირაბებისა და კიბეების სისტემა, სრულყოფილი გახდა წყალმომარაგების ქსელი. მონასტრის უსაფრთხოებისა და ქონების დაცვის მიზნით შეიქმნა თავდაცვითი სისტემა – არქიტექტურული ანსამბლის ცენტრალურ და აღმოსავლეთ სექტორში, არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა გალავნის მშენებლობის პირველი ეტაპის ფენები.

---

[34] Z. Skhirtladze, Silver Medallion From Gareji, *Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik, Bd.89 (1994), pp. 285-290.*

[35] ზ. ალექსიძე დასახ. ნაშრომი, გვ. 48-56.



35. №5 არქეოლოგიური უბანი. ბუხრიანი სახლი. გათხრების პროცესი
Archaeological plot 5. House with a fireplace. Process of excavations

წმ. იოანე ნათლისმცემლის სავანე ქრისტიანული აღმოსავლეთის მონასტრების მსგავსად, არა მარტო სულიერებისა და განათლების, არამედ ხელოსნობის კერასაც წარმოადგენდა, რაც მონასტერში ლითონისა და მოჭიქული ჭურჭლის წარმოების დამადასტურებელი არტეფაქტების აღმოჩენით დადასტურდა.

მონასტრის ყოფაში თიხის უბრალო და წერნაქიანი ჭურჭლის პარალალელურად წამყვანი ადგილი დაიკავა მოჭიქულმა და მოთერო თიხის, თხელკედლიანმა, ნატიფმა ჭურჭელმა. გამოვლინდა, როგორც მოჭიქული ჭურჭლის ადგილობრივი – გარეჯული ნაწარმი, ისე ქართული კერამიკისათვის არასტანდარტული,[36] აღმოსავლური ცენტრებისათვის დამახასიათებელი მოჭიქული[37] და მოთეთრო თიხის პროდუქცია[38], რაც ამ ქვეყნებთან სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის გამოხატულებას წარმოადგენს.

---

[36] ზ. მაისურაძე, *ქართული მხატვრული კერამიკა XI-XIII სს.*, (თბილისი, 1953), გვ. 33; მ. მიწიშვილი, *მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში , IX-XIII სს* (თბილისი, 1969), გვ. 48.

[37] А. Якобсон, Художественная Керамика Байлакана (Орен-Кала), *Материалы и исследования по Археологии СССР*, 67 (Москва-Ленинград, 1959), 338, таб. XXI, рис. 8, 24, с. 250.

[38] C. Wilkinson, *Nishapur* (New-York, S.d.), 359, №173.



36. №5 არქეოლოგიური უბანი. ბუხრიანი სახლი. გეგმა. ჭრილები
Archaeological plot 5. House with a fireplace. Plan.Sections

ფაიანსის ჭურჭელი წარმოდგენილია ლუსტრით მოხატული ვაზის ფრაგმენტებით – ორნამენტულ ფონზე ქალის სახეა გამოსახული. კულტურული ფენების ქრონოლოგიისა და ტიპოლოგიურად მსგავსი მასალების გათვალისწინებით,[39] შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჭურჭლის ფრაგმენტები XII-XIII საუკუნეების ირანულ ნაწარმს მიეკუთვნება.

მონასტერში აღმოჩენილ ფაიანსის ჭურჭელში გვხვდება XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული, რელიეფური ორნამენტით შემკული და კობალტის ლურჯი საღებავით დაფარული დოქის ფრაგმენტი.[40]

მინის ჭურჭელს მონასტრის ცხოვრებაში შედარებით მოკრძალებული ადგილი უჭირავს. იგი წარმოდგენილია XII-XIII სს დათარიღებული თხელკედლიანი, კოპებითა და წვრილი ძაფებით შემკული ნატიფი სასმისებით.

თამარ მეფის (1187 წ), თამარ მეფის მცირე ნომინალის – რუსუდანის დამღით (1187 წ) და ლაშა-გიორგის (1210 წ) მონეტების აღმოჩენა, მონასტრის გარე სამყაროსთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობაზე მიუთითებს.

მეოთხე ეტაპი, დაქვეითების ხანა (XIII საუკუნის მეორე ნახევარი – XIV ს) – ბერქა ყაენის ლაშქრობის შედეგად (1265 წ) გარეჯის მრავალმთის ცენტრალური მასივის მონასტრები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომელთა ნაწილში სამონასტრო ცხოვრება შეწყდა.[41] წმ. იოანე ნათლისმცემელის მონასტერში მცირეოდენი ნივთიერი მასალის, კერძოდ მოჭიქული ჭურჭლის იმიტაციების აღმოჩენა ადასტურებს, რომ აღნიშნულ პერიოდში მონასტერში სამოწესეო ცხოვრება მინელებული სახით კვლავ გრძელდებოდა.

მეხუთე ეტაპი, წყვეტილი სამონასტრო ცხოვრებაში (XIV–XVI სს) – არქეოლოგიური მონაცემებით, რასაც ნაწილობრივ წერილობითი წყაროებიც ადასტურებს,[42] XIV საუკუნის ბოლოდან – XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე, წმ. იოანე ნათლისმცემელში სამონაზვნო ცხოვრება შეწყდა.[43]

მეექვსე ეტაპი, აღორძინების ხანა (XVII-XVIII სს) – წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ XVII საუკუნიდან მონასტერში სამოწესეო ცხოვრების

---

[39] ნ. მამაიაშვილი, *ფაიანსი შუასაუკუნეთა საქართველოში* (თბილისი, 1976), გვ.45-51, შდრ. ვ. ჯაფარიძე, *ქარული კერამიკა (XI-XIII სს)* (თბილისი, 1956), გვ. 36-37.

[40] ნ. მამაიაშვილი, დასახ. ნაშრომი, ტაბ., VII, სურ.1; გვ.31-33, შდრ. ვ.ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 36-37.

[41] *ქართლის ცხოვრება*, II, გვ. 254; შდრ. Г. Чубинашвили დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

[42] *ქართლის ცხოვრება*, II, გვ. 450-451; თ. ჟორდანია, *ქრონიკები*, II (ტფილისი, 1897), გვ. 198, 228.

[43] ივერია, №3 (1886), გვ. 3.

აღმავლობის პროცესი დაიწყო, რამაც გამოხატულება ჰპოვა როგორც ყოფით ცხოვრებაში, ისე კულტურულ და სამწიგნობრო-ლიტერატურულ სფეროში.

ამ დროისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა მონასტრის არქიტექტურულმა სახემ – გადაკეთდა ძველი და გამოიკვეთა გამოქვაბულთა ახალი ჯგუფები, ეკლესია-სამლოცველოები, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ქვაბები, სატრაპეზო, მოწესრიგდა მეურნეობა, წყალმომარაგების სისტემები, რომლის ქსელს ახალი მონაკვეთები შეემატა; განხორციელდა გალავნის მშენებლობა-რესტავრაციის ახალი ეტაპი – კოშკებითა და ბურჯებით გამაგრებული გალავანი XVII-XVIII საუკუნეებში არქიტექტურული კომპლექსის მთელ ტერიტორიას საზღვრავდა; ეკლესია-სამლოცველოები გაფორმდა ამპირის არქიტექტურული სტილით და მოიხატა აღმოსავლური მოტივებით შექმნილი დეკორით; აღორძინდა ლიტერატურული სკოლა – წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი ქართული საეკლესიო მწერლობისა და მწიგნობრობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად იქცა; მონასტრის ყოფაში წამყვანი ადგილი მინის, ფაიანსისა და ლითონის ნაწარმმა დაიკავა.

მეშვიდე ეტაპი, სამონასტრო ცხოვრების დასასრული (XIX ს – XX საუკუნის დასაწყისი) – წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერში ეს არის სამონასტრო ცხოვრების ბოლო პერიოდი, რომელიც უკვე მართლმადიდებელი რუსეთის მპყრობელობის პირობებში მიმდინარეობდა. ამ დროს განხორციელდა არქიტექტურული ანსამბლის სარეკონსტრუქციო-სამშენებლო სამუშაოების ბოლო ეტაპი – გამოიკვეთა აღმოსავლური მოტივებით მოხატული, ამპირისა და კოლონების არქიტექტურული ფორმებით შემკული კლდის სახლები, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა მონასტრის საფორტიფიკაციო სისტემას, აშენდა ქვითკირის საკულტო, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები.

არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ამ პერიოდში გამოკვეთილი გამოქვაბულები, ქვითკირის ნაგებობები, წყალმომარაგების სისტემის მონაკვეთები, სახაბაზო და უტილიტარული დანიშნულების კომპლექსები, გალავნის რეკონსტრუქციის ბოლო ეტაპის ფენები და სამაროვანი. მონასტრის ყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მოჭიქულმა ჭურჭელმა, ლითონის ნივთებმა, მინისა და ფაიფურის როგორც ქართულმა, ისე ევროპულმა ნაწარმმა.

წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერმა მის კედლებში მოღვაწე სამშობლოსა და ქრისტიანობის იდეებისათვის თავდადებულ მოღვაწეთა წყალობით, ქართველ მეფეთა, დიდებულთა და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ხელშეწყობით, თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ღირსეულად განვლო შუა საუკუნეების ყველა ეტაპი, ახალი და ნაწილობრივ უახლესი პერიოდების ჩათვლით და მრავალმთის

სავანეთა შორის მასში ყველაზე გვიან – XX საუკუნის ოციანი წლებისათვის, თანდათანობით ჩაქრა ისედაც მინელებული სამონასტრო ცხოვრება.

შემდგომ, საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში მრავალმთაში სამოწესეო ცხოვრება ათწლეულების განმავლობაში შეწყდა. მისი აღორძინება მხოლოდ 1990 წლიდან – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისა და ქვეყნის ხელისუფლების ძალისხმევით გახდა შესაძლებელი.

FOREWORD

The Gerorgian National Museum and its time-honored structural unit, the Simon Janashia State Museum of Georgia, jointly with the Gareja Studies Centre, are launching a serial of the works of Zurab Tvalchrelidze, historian-archaeologist.

The publications will be devoted to the results of historical-archaeological study of the cave complexes of the Gareja monastic association and rock-cut monastic seats of Georgia.

Publications of the first stage will deal with archaeological studies of Gareja rock-cut monasteries – the stratigraphic picture of monastic seats; questions of the chronological and typological classification of the artifacts; complete catalogue of the collections preserved in the funds of the Georgian National Museum will be corried out.

The publications of the second stage will present a monographic study of the archaeologically explored rock-cut monastic seats of the Gareja desert and historical provinces of Georgia. Questions of monastic life in Georgia, studied in the historical-archaeological aspect, will be discussed in relation to analogous monuments of the Christian East.

The present work deals with the results of archaeological research carried out in 1980-2005 by Zurab Tvalchrelidze at the Monastery of St. John the Baptist

(Natlismtsemeli) of the Gareja desert, one of the oldest seats of Georgian monasticism.

As a result of many-years archaeological studies conducted at the monastery of St. John the Baptist, diverse material of a vast chronological range has been accumulated in the rock monument funds of the Simon Janashia State Museum of Georgia, constituting an important source for the study of various aspects of monks' life at the monastery. Acquaintance with performed work and publication of brought to light artifacts are desirable and valuable at the present stage of research. They will become available both for scholarly circles and the readers interested in the monastic life of Gareja.

As each one has received a special gift, employ it in serving one another, as good stewards of the manifold grace of God.

Peter I:4,10

CHAPTER I

Architectural and Archaeological Monuments of the Monastery of St. John the Baptist. Stages and Main Results of the Archaeological Study

In the Monastic Association of the Gareja desert a distinctive place is held by the monastery of St. John the Baptist, founded in the second half of the sixth century by St. Lukiane, a pupil and associate of St. David Garejeli: *'By the command of Father David he built the wilderness of Mravalmta in the name of the Holy John the Baptist'.*[1]

The monastery of St. John the Baptist was one of the oldest and most important spiritual seats of Christian Georgia for many centuries. It was a leading cultural-educational centre. Herewith, donor-builders and several generations of monks did their great bit in establishment and development of local rock-cut architecture, monumental painting and literature.

The monastery of St. John the Baptist, *Natlismtsemeli* in Georgian, lies to the west of the lavra of St. David, the centre of the Monastic Association of the Gareja desert, within eight kilometers of it, in historical Tpileli gorge. Compositionally, the monastery is a complex architectural ensemble. It is cut in 250 m long rock mass formed of sandstones and conglomerates of marine origin – in two or three tiers, at a very deserted and hot place (plot I).

At the centre of the architectural complex is the main church of the Nativity of St. John the Baptist, as well as a refectory, the Father-Superior's residence, a church bell-tower and a gate. The inner structures of the monastery are

---

[1] *Dzveli Kartuli agiograpiuli literaturis dzeglebi [Monuments of Old Georgian Hagiographic Literature]*, vol. I (Tbilisi, 1963), p. 239.



37. გალავანი. დასავლეთი სექტორი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან
The wall with towers. North section. View from the South - West

walled from the south and south-west with a towered rampart (plot $II_{1,2}$).

Frescoes of the tenth-thirteenth centuries have survived in the principal church and chapels of the monastery (plot III_2).[2] In the western part of the complex the cells, which were reconstructed in the 19th c, are designed in

---

[2] Z. Skhirtladze, Samepo ktitoruli portreti natlismtsemlis monastris mtavar tadzarshi [The Royal Donor Portrait in the Principal Church of the Monastery of St. John the Baptist *Sabchota khelovneba*, 1983, N11, pp. 96-110; idem, Again about the donor images of St. Ioane Natlismtsemeli, *Sabchota khelovneba*, 1987, N3, pp. 108-113; G. Gaprindashvili, *Gareji* (Tbilisi, 1987); A. Volskaya, Rospisi peshchernykh monastyrei David Gareji [Murals of the cave monasteries of David Gareja], in: *Gareji (Proceedings of the Kakheti Archaeological Expedition, VIII)* (Tbilisi 1988), pp. 130-163; Z. Skhirtladze, Kvitkhuro beris preska garejis tsm. Ioane Natlismtsemlis monastershi [A fresco of a stone mason monk in the St. John the Baptist Monastery of the Gareja desert], *Sakartvelos Sapatriarko*, 1991, N1, (1999) pp. 33-39; idem, Les portraits de l'église principale du monastère Natlismtsemeli a Garedja, *Zograf*, N23 (1993-1997), pp. 5-14; idem, Ioane mamasakhlisis saktitoro moghvatseoba garejis natlismtsemlis monastershi [The Donor Activity of Ioane Mamasakhlisi at St. John the Baptist Monastery in the Gareja Desert], in: *Desert Monasticism. Gareja and the Christian East. Materials of an International Conference (Proceedings of the Gareja Studies Centre, II)* (Tbilisi 2001), pp. 133-166; M. Bulia, Istoriul pirta gamosakhulebebi „Natlismtemlis'' monastris sakrebulo tadzarshi [Donor Portraits in the Main Church of the 'Natlismtsemeli' Monastery, Sakartvelos Sidzveleni 7-8 (2005), pp. 168-203.



38. არქიტექტურული კომპლექსი. დასავლეთი სექტორი. ხედი აღმოსავლეთიდან
Architectural complex. West section. View from the East

the Empire style and are painted with Oriental ornamental motifs (Fig. 56, plot IV).[3]

By typological classification the following structures are identified in the cave complex:

I. Cultic and memorial: a main church, chapels and a martyria;

II. Cells for dwelling, including: a. caves of a classical period desert monasticism (the 6th-8th c.); **b**. cave-cells of Developed Middle Ages; **c**. rock houses cut in the Late Middle Ages and in the 19th century.

III. Agricultural recetables caves

The chronology of the cave structures of the monastery covers a vast period ranging from the 6th-7th centuries including the turn of the 19th-20th c. In terms of typological classification, the numerous structures of the complex, embracing this long period, represent a stage picture of development of rock cutting art:

Caves of archaic forms of the period of the foundation of the monastery

---

3 G. Chubinashvili, *Peshchernye Monastery David Gareji* [David Gareja Cave Monasteries] (Tbilisi, 1948), p. 113, 115, pl. 36.



39. №3 არქეოლოგიური უბანი. სამაროვანი. № 2 სამარხი. გათხრების პროცესი
Archaeological plot 3. Cemetery. Burial 2 . Process of excavation

(the 6th-7th c.) survive to the west of the principal church, in the first tier of the complex.[4]

In the Developed Middle Ages the monastery assumed a completed architectural form, new architectural forms – rock houses resembling lay dwellings came into being In the same period, the principal church of the Nativity of St. John the Baptist was hewn out as well as small chapels, and martyria.

Radical reconstruction of the complex was carried out in the Late Middle Ages and in the last period of the existence of the monastery – 19th century. Most of the old caves were altered and renovated; new structures were created. In the central and western sectors, rock houses with columns were hewn out and adorned with oriental motifs; open and tunnel-type exits connecting the tiers; the hydraulic engineering unit of the monastery assumed form as a single system: systems of wells and water trapping ditches, cut in various sectors of the rock mass were involved in the architecture of the complex, which essentially resolved the main vital problem of the life of the monks -

4 G. Chubinashvili, op. cit, p.36.



40. №3. არქეოლოგიური უბანი. სამაროვანი. №1, 6, 8 სამარხები. გათხრების პროცესი
Archaeological plot 3. Cemetery. Burials 1, 6, 8. Process of excavations

water supply of the monastery: '*...there is no water here but they trap rainwater in rock wells and drink it*'.[5]

The outward appearance of the monastery suffered substantial change:

[5] Prince Vakhushti, Aghtsera Sameposa Sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia], *Kartlis Tskhovreba*, vol. IV (Tbilisi 1973), p. 322.





41. №3 არქეოლოგიური უბანი. შიდა ეზო. სამაროვანი. გეგმა. ჭრილები
Archaeological plot 3. Internal courtyard. Cemetery. Plan. Sections



42. № 3 არქეოლოგიური უბანი. შიდა ეზო. სამაროვანი. ჭრილები
Archaeological plot 3. Internal courtyard. Cemetery. Sections

the limestone cultic dwelling and new economic facilities, terrace structures and the reconstructed three-tower wall organically blended with the rock architecture.

The source study basis of the history of the monastery of St. John the Baptist is rich and diverse. In this respect material is especially abundant in the last stage of its existence (the 17th-19th c.); much more meager is evidence on the Early and Developed Middle Ages.

The sources of the history of the monastery comprise both epigraphic and narrative monuments. Epigraphic sources - a stele with an *asomtavruli* inscription of the 6th-7th c. discovered in the monastic complex is worth of mentioning, as well as (plot III_1)[6] inscriptions of the 12th century, accompanying the gallery of donor portraits of the principal church;[7] extant irscriptions on the caves and fortification structures of the monastic complex, including those of Ioane Mamasakhlisi (turn of the 10th-11th c),[8] David the Rector (the 18th.c)[9], Giorgi Avalishvili (the 18th.c),[10] Ioane the Metropolitan of Bodbe (the 19th c.),[11] and others.

The earliest narrative evidence on the foundation of the monastery of St. John the Baptist is preserved in Juansher's, treatise included in *Kartlis Tskhovreba* [12] and in the keimenic (the 10thc) and metaphrastic (the 13thc.) recen-

---

6 N. Chubinashvili, *Khandisi. Problema relyefa na primere odnoi gruppy gruzinskikh stel poslednei chetverti V veka I pervoi poloviny VII veka [Khandisi. The Probleme of Relief on the Example of One Group of Georgian Stelae of the Last Quarter of the 5th Century and First Half of the 6th Century]* (Tbilisi, 1976), pp. 90-93; *Corpus of Georgian Inscriptions. Lapidary Inscriptions, I, South and Eastern Georgia (the 5th-10th c). Prepared for publication by N. Shoshiashvili* (Tbilisi, 1980), pp. 114-115 (with early bibliography).

7 Z. Skhirtladze, Samepo Ktitoruli portreti [Royal Donor Portrait in the Main Church of the Gareja St. John the Baptist , pp. 96-110]; M.Bulia, op. cit., pp. 168-211.

8 Z. Skhirtladze, Ioane mamasakhlisis saktitoro moghvatseoba Garejis Natlismtemlis monastershi. The Donor activity of Ioane Mamasakhlisi in the St. Ioane Natlismtsemeli Monastery of Gareja, in: *Desert Monasticism. Gareja and the Christian East (Proceedings of the Gareja Studies Centre, II)* (Tbilisi 2001), pp. 133-166.

9 Z. Skhirtladze, A Graffiti from the Monastery of St. Ioane Natlismtsemeli, *Dzeglis Megobari*, 1986, N2, pp. 40-43.

10 G. Chubinashvili, op. cit., p. 114; T. Barnaveli, *Kakhetis istoriul dzeglta tsartserebi [Inscriptions of Kakheti Historical Monuments]* (Tbilisli 1962) p. 51.

11 G. Chubinashvili, op. cit. p. 115 ; T. Barnaveli, op. cit., p. 51.

12 *Kartlis Tskhovreba*, vol. I (Tbilisi, 1959), pp. 208-210.



43. № 3 არქეოლოგიური უბანი. სამაროვანი. სქემა
Archaeological plot 3. Cemetery. Scheme

sions of *"The life of Syrian Monks"*.[13]

An inset in a manuscript copied in the 10th century, discovered in the monastery of St. Catherine on Mt. Sinai, belongs to the oldest evidences. It presents description of the library and treasury of the monastery of St. John the Baptist.[14]

The monastery of St. John the Baptist in the Developed Middle Ages should be referred to the collective names: "Garejelis", "The Three Deserts of Gareja", "The Monks of the Three Deserts of Gareja", "The Twelve Deserts of Gareja". This assumption is supported by literary sources and archaeological evidences,[15]which attest to the existence of a monastery as a functioning unit

---

13 *Asurel moghvatseta tsignta dzveli kartuli redaktsiebi [Old Recensions of the Books of the Syrian Monks], ed. by I. Abuladze* (Tbilisi, 1965), pp. 144-184.

14 Z. Alexidze, From Gareja to Mount Sinai: unknown material about the monastic complex from a new collection of Georgian MSS of Mount Sinai, in: *Desert Monasticism. Gareja and the Christian East (Proceedings of Gareja Studies Centre, II)*, (Tbilisi, 2001), pp. 48-63.

15 Z. Tvalchrelidze, Gerejis samonastro tskhovrebis ganvitarebis etapebi arkheologiuri monatsemebis mikhedvit [The developmental stages of monastic life at Gareja according to archaeological evidence], in: *Desert Monaticism. Gareja and the Chrisitan East (Proceedings of the*

at that time.

The situation is quite different in the 16th-19th c. secular and church documents, in which various aspects of monastic life occur abundantly.[16] Noteworthy are inscriptions and pilgrims' graffiti of later times preserved on the monastic structures that contain valuable information.

* * *

Gareja Desert is the oldest and inimitable seat of Christian spirituality. Despite the large-scale destruction caused by the vicissitudes of the centuries, with its original architectural and painting monuments, it amazes today's viewer; it is not an overstatement to say that it is an immeasurable and invaluable treasure for researchers of the legacy of Christian culture.[17]

Gareja Studies Centre, II) (Tbilisi, 2001), pp. 34-37. B.Lominadze Kartuli peodaluri urtiertobebis istoriidan, Senioriebi [From the History of Feodal Relations in Georgia. Seniories] , I (Tbilisi, 1966), p.16 tb.

16 *Documentary Sources of the Gareja Monasteries (13th-18th c.) Prepared for publication by Dodo Lomidze, Manana Chumburidze and Zaza Skhirtladze, in collaboration with Zeinab Gurjidze and Levan Bukia. vol. I and II (Gareja Treasury, V and VI)* (Tbilisi 2008). .

17 The Georgian Orthodox Church and its oldest, most important spiritual seat – Gareja Monastic Complex, in conditions of the independence of Georgia, under the prelateship of His Holiness, Catholicos Patriarch of All Georgia Ilia II, are on the road of rise and revival. At the same time, some two decades ago, in the Soviet period, the situation in the Gareja desert was quite different.

Beginning with the 1920's, monastic life at the Gareja Desert was abolished for decades. The training ground of Soviet troops, functioning there for decades, proved fatal for the monuments of the desert. At that time much was destroyed or badly damaged.

Notwithstanding the difficulties caused by the times, representatives of literature, scholarship, the church and other strata of society could always be found in Georgia who, by their intellectual or spiritual activity, sought to save the desert monuments; as a result of great exertion, they managed to force authorities to pay some attention to the antiquities of Gareja, the distinct, unrivalled seat of cultural heritage that faced total destruction in conditions of the functioning of the firing ground.

ქვაბ-ქოთნის გვერდისა და ყურის ფრაგმენტი (4-994:№511) – რუხი კეცით, ყელისგან გამოუყოფელი, მომრგვალებული პირითა და ბრტყელგანივკვეთიანი, მოკლე ყურით.

ქოთნის გვერდისა და ყურის ფრაგმენტი (4-994:№512) – მოწითალო კეცით, ბრტყელგანივკვეთიანი ყურით.

ქილის პირ-ყელის ფრაგმენტი (4-994:№513) – მოწითალო კეცით, მომრგვალებული, სწორი პირითა და ფართო ყელით.

ჩაფის ყურის ფრაგმენტი (4-994:№514) – ჩალისფერი კეცით, მასიური, ბრტყელგანივკვეთიანი.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№515) – ჩალისფერი კეცით, ზედაპირზე ორ პარალელურ ხაზს შორის, ზიგზაგისებური ხაზებია ამოღარული.

დოქის ყელისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№516) – რუხი კეცით. ყელი დაბალი რელიეფით გამოიყოფა მხრისგან, ნაპრიალები.

ჭურჭლის ძირ-გვერდისა და პირის ფრაგმენტები (4-994:№517) – მონაცრისფრო, სქელი კეცით, გარეთ გაწეული პირით, ბრტყელი ძირით. ზედაპირზე გამოყვანილია რელიეფური, ინგლისურენოვანი წარწერა. გადავლებული აქვს უფერო, კრიალა ჭიქური.

დოქის პირ-ყელის და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№518) – მოწითალო, განლექილი კეცით, თხელი, სწორი პირითა და საშუალო სიმაღლის ყელით.

ქილის პირ-ყელის ფრაგმენტი (4-994:№519) – მოწითალო კეცით, დაბალი, ფართო ყელითა და გადაშლილი პირით. ყელს შემოუყვება ნაჭდევებიანი ორნამენტი.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№520) – მოვარდისფრო, კარგად განლექილი კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული, ბრტყელი ძირით, მოწერნაქებული. ქ. d – 9 სმ.

დოქის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№521) – ჩალისფერი კეცით, დაბალი, გამოყოფილი ქუსლითა და ბრტყელი ძირით, ნაპრიალები.

დოქის პირ-ყელის ფრაგმენტი (4-994:№522) – აგურისფერი კეცით. ყელზე შემოუყვება რელიეფური სარტყელი.

სარქველის ფრაგმენტი (4-994:№523) – ჩალისფერი კეცით, ორნამენტირებული ზედაპირითა და რელიეფურად გამოყოფილი სახელურით.

კოკის პირ-ყელის ფრაგმენტი (4-994:№524) – მოწითალო კეცით, ყელისგან გამოუყოფელი, სწორი პირით. ყელს შემოუყვება რელიეფური სარტყელი.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№525) – მოწითალო კეცით, თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული ორნამენტი შემკულია მწვანე და ყავისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

დოქის ყელისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№526) – ჩალისფერი კეცით, ყელის ფუძესთან შემოუყვება ნაჭდევიანი ზოლი. ზედაპირზე კოპია გამოყვანილი.

ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№527) – მოწითალო კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული, ბრტყელი ძირით. შიდაპირზე შიშველ კეცზე თეთრი ანგობით გამოყვანილია გულები და რგოლები. მოჭიქულია მწვანედ.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№528) – მოწითალო კეცით, დაბალი ქიმითა და მომრგვალებული, სწორი პირით, მოწერნაქებული.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№529) – მოვარდისფრო კეცით, დაბალი, ფართო ქუსლითა და ჩაღარული, ბრტყელი ძირით. შიდაპირზე ჯამის ფსკერზე გამოყვანილი თეთრი მედალიონი, ღვიძლისფერი საღებავით დაყოფილია კვადრატებად და მწვანე ფერის ხალებითაა გახალისებული. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. ქ. d – 9,5 სმ, ქ. h – 1,2 სმ.

დოქი (4-994:№530) – რესტავრირებული, ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, დაბალი ყელითა და შესქელებული პირით, მოკლე ოვალურგანივკვეთიანი ყურით, მხრიდან ძირისკენ დამრეცი გვერდითა და ბრტყელი ძირით. ზედაპირი შემკულია მხრიდან ჩამოღვენთილი წერნაქის ზოლებით. დოქის სიმაღლე – 25,5 სმ.

დოქის ყელ-ყურისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№531) – მოწითალო კეცით, მაღალი ყელითა და ბრტყელბაკოიანი პირით, ოვალურგანივკვეთიანი მოკლე ყურით. ყელსა და მხარს შემოუყვება ამოკაწრულ ხაზებიანი სარტყელი, მოწერნაქებული.

ჭიქა (4-994:№532) – მინის, გამჭვირვალე, თეთრი ფერის, დაკუთხული, შვეული კედლითა და ჩაღარული, ბრტყელი ძირით. ჭიქის სიმაღლე – 7 სმ., ძირის d – 5 სმ.

ჯვარი (4-994:№533) – ხის, სადა, დაკუთხული მკლავებით. სიმაღლე – 20,5 სმ.

დოქის ძირ-ქუსლი (4-994:№534) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, გამოყოფილი, დაბალი ქუსლითა და ჩაღარული, შუაში ამობურცული ძირით. ქ. d – 7,7 სმ, ქ. h – 1,1 სმ.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№535) – მოწითალო კეცით, გამოყვანილი, დაბალი ქუსლითა და ჩაღარული, ბრტყელი ძირით. შიდაპირზე შიშველ კეცზე ლურჯი საღებავით გამოყვანილია მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს რძისფერი ჭიქური. ქ. d – 9,5 სმ, ქ. h – 0,9 სმ.

წიგნის ყდის დეკორატიული ფირფიტა (4-994:№536) – სპილენძის, რელიეფურად გამოსახულია ლუკა მახარებელი ეტრატითა და საწერი კალმით, ლომთან ერთად (სიმბოლო). ფირფიტის დარჩენილი სივრცე შევსებულია მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტით. დამზადებულია სპილენძის თხელი ფურცლისაგან შტამპური წესით.

წიგნის ყდის დეკორატიული ფირფიტა (4-994:№537) – სპილენძის, გამოსახულია რელიეფური ყვავილოვანი ორნამენტი. დამზადებულია სპილენძის თხელი ფურცლისაგან შტამპური წესით.

საეკლესიო ნივთი (4-994:№538) – სპილენძის, წრიული ფორმის, რელიეფური ზედაპირით. დამზადებულია თხელი ფირფიტისაგან შტამპური წესით.

ქოთნის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№539) – მოვარდისფრო კეცით. ზედაპირზე შემორჩენილია გეომეტრიული ორნამენტის ფრაგმენტი.

ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№540) – მოწითალო კეცით, დაბალი ქუსლითა და ჩაღარული ბრტყელი ძირით. შიდაპირზე ცისფერი საღებავით გამოყვანილია კვადრატული ბადე. გადავლებული აქვს რძისფერი ჭიქური. ქ. d – 9,5 სმ, ქ. h – 0,9 სმ.

თეფშის ძირ-ქუსლი (4-994:№541) – ფაიანსის, თეთრი ფერის ნასვრეტოვანი კეცით, დაბალი, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული, ბრტყელი ძირით. შიდაპირზე კობალტის ლურჯი საღებავით გამოყვანილია გეომეტრიული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. ქ. h – 0,7 სმ.

ქვა (4-994:№542) – ასპიდური ფიქალი, რუხი ფერის, მოგრძო ფორმის.

ჯამის პირ-გვერდი (4-994:№543) – მოწითალო კეცით, მაღალი კალთითა და გადაშლილი პირით, მოწერნაქებული.

ქოთნის სარქველი (4-994:№544) – მოწითალო კეცით. სახელურთან შემოუყვება რელიეფური ზოლი.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№545) – მოწითალო კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ყავისფერი საღებავით ორნამენტია გამოყვანილი.

დერგი (4-994:№546) – რესტავრირებული, ნაკლული, მოწითალო კეცით, კვერცხისებური მოყვანილობის ტანით, ძირისკენ დამრეცი კედლითა და ბრტყელი ძირით. დერგის სიმაღლე – 37,5 სმ, ძირის d – 14 სმ.

ჭურჭლის ძირი (4-994:№547) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, წრიული, შუაში შეზნექილი. ძირის d – 2,8 სმ.

ჭურჭლის ძირი (4-994:№548) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, რელიეფურად გამობერილი, ირიზებული.

ჭურჭლის ძირი (4-994:№549) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, კონუსური დაბოლოებით.

ჭურჭლის გვერდისა და პირის ფრაგმენტები (4-994:№550) – მინის, თხელკედლიანი, თეთრი ფერის, გამჭვირვალე. პირთან პატარა, დაბალრელიეფური მეჭეჭი აქვს მირჩილული, გვერდზე დაძერწილია ცისფერი მინის ნაღვენთი.

ჭურჭლის გვერდი (4-994:№551) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, თხელკედლიანი, ირიზებული.

ჭურჭლის ძირისა და პირ-გვერდების ფრაგმენტები (4-994:№552) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, თხელკედლიანი, გვერდისგან გამოუყოფელი პირითა და ბრტყელი, დისკოსებური ძირით. გვერდს შემოუყვება ორი, წვრილი რელიეფური ზოლისგან შედგენილი სარტყელი და მეჭეჭები, ირიზებული.

ჭურჭლის პირ-გვერდისა და ძირის ფრაგმენტები (4-994:№553) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, თხელკედლიანი, სწორი პირითა და მომრგვალებული, ჩასადგმელი ძირით.

დოქის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№554) – მოწითალო, კარგად განლექილი კეცით, დაბალი, ფართო ყელისგან გამოუყოფელი, გარეთ გაწეული პირით. პირთან მირჩილულია ოვალურგანივკვეთიანი, მეჭეჭიანი ყური. ზედაპირზე დაუყვება გაცვილული ზოლები.

აგური (4-994:№555) – მოწითალო, მინარევებიანი კეცით, ოთხკუთხა ფორმის (20X20X4 სმ).

ქვევრის ძირი (4-994:№556) – აგურისფერი, მინარევებიანი კეცით, ძირთან შემოუყვება თოკისებრი ორნამენტი. ძირის d – 15,5 სმ.

კრამიტი (4-994:№557) – ქიმიანი, აგურისფერი მინარევებიანი კეცით, ბრტყელ ზედაპირზე – კიდეებთან დაუყვება გრძივი ღარები. სიგრძე – 34 სმ, სიგანე – 8,5 სმ, სისქე – 2 სმ.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№558) – მოწითალო, წვრილმინარევებიანი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული ორნამენტი, შემკულია ყვითელი საღებავით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის ძირ-ქუსლისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№559) – აგურისფერი წვრილმინარევებიანი კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული, ბრტყელი ძირით. შიდაპირზე შიშველ კეცზე ყავისფერი ჭიქურიანი საღებავით გეომეტრიული ორნამენტია გამოყვანილი. ქ. d – 8,5 სმ, ქ. h – 1,5 სმ.

ხელადის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№560) – ჩალისფერი, სუფთა სტრუქტურის თხელკედლიანი კეცით, დაბალი ფართო ყელითა და თხელი, სწორი პირით.

დოქის ყური (4-994:№561) – ჩალისფერი, განლექილი კეცით, მრგვალგანივკვეთიანი.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№562) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, სადა ზედაპირით.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№563) – აგურისფერი, წვრილ-მინარევებიანი კეცით. შიდაპირზე მწვანე და ყავისფერი საღებავებით ორნამენტია გამოყვანილი.

დოქის ძირი (4-994:№564) – აგურისფერი, კარგად განლექილი კეცით, ბრტყელი ძირით, მოწერნაქებული.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№565) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული ყვავილოვანი ორნამენტი გახალისებულია მოლისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4–994:№566) – აგურისფერი კეცით. შიდა-პირზე შიშველ კეცზე ანგობით გამოყვანილია გეომეტრიული ორნამენ-ტი. მოჭიქულია მწვანედ.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994: №567) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენ-ტი გახალისებულია მწვანე და ყვითელი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№568) – აგურისფერი კეცით, მომრგვალებული პირით, შიდაპირზე თეთრი ანგობისა და ღვიძლისფე-რი საღებავის კომბინირებით ორნამენტია გამოყვანილი. გადავლებუ-ლი აქვს უფერო ჭიქური.

დოქის პირ-ყელისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№569) – მოვარდის-ფრო კეცით, სარტყლიანი ყელით, ტუჩიანი პირითა და ზომიერად დაქანებული მხრით.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№570) – მოწითალო კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული, შუაში ამობურცული ძირით. შიდაპირზე ში-შველ კეცზე თეთრი ანგობით გამოყვანილია ე.წ. მსხლისებური წვეთე-ბი. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური.

ლუთერის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№571) – აგურისფერი, მინა-რევებიანი კეცით. ღარისებრი ფორმის, ბრტყელბაკოიან პირზე მეჭეჭი აქვს მირჩილული.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№572) – მოწითალო კეცით, დაბალი ქუსლითა და ჩაღარული ძირით, ორმხრივ ანგობირებული და მწვანედ მოჭიქული. ქ. h – 0,4 სმ.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№573) – მოწითალო კეცით, თხელი, სწორი პირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე გადავლებული აქვს მოლისფერი ჭიქური.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№574) – მოწითალო კეცით, მომრგვალებული პირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტი შემკულია მწვანე საღებავით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№575) – აგურისფერი კეცით, ბრტყელბაკოიანი, გარეთ გაშლილი პირით, თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული, წრეში ჩასმული ვარდული შემკულია მწვანე, ყვითელი და ღვიძლისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის ძირ-ქუსლისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№576) – მოწითალო, წვრილმინარევებიანი კეცით, დაბალი, გამოყვანილი ქუსლითა და კოპიანი ძირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული ორნამენტი გახალისებულია მწვანე, ყვითელი და ღვიძლისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№577) – მოწითალო კეცით. ზედაპირზე შემოუყვება წერნაქის ფართო სარტყელი და წერტილოვანი ჩანაჭდევებით კვადრატებად დაყოფილი, წერნაქით დაფერილი ორნამენტი.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№578) – მოწითალო, მინარევებიანი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე მარყუჟებია ამოკაწრული. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№579) – მოვარდისფრო კეცით, დაბალი ქიმითა და მომრგვალებული პირით, მოწერნაქებული.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№580) – მოვარდისფრო, კარგად განლექილი კეცით, დაბალი ქიმით, ბრტყელბაკოიანი, გადაშლილი პირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტი გახალისებულია მწვანე საღებავით; ჯამის შესამკობად გამოყენებულია ყვითელი და ღვიძლისფერი საღებავები. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№581) – მოწითალო კეცით, სწორი ქიმითა და თხელი პირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრულია გეომეტრიული ორნამენტი. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№582) – აგურისფერი კეცით, გვერდისგან მკვეთრად გამოყოფილი ქიმითა და მომრგვალებული პირით.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№583) - მოწითალო კეცით, დაბალი ქუსლითა და ჩაღარული, ბრტყელი ძირით. შიდაპირზე შიშველ კეცზე მწვანე ჭიქური აქვს გადავლებული. ქ. h – 0,9 სმ, d – 7,5 სმ.

დოქის გვერდისა და ყურის ფრაგმენტი (4-994:№584) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, სადა გვერდითა და მრგვალგანივკვეთიანი ყურით.

ჭინჭილის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№585) – ჩალისფერი, კარგად განლექილი თხელკედლიანი კეცით, დაბალი, გამოყოფილი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. ქ. h – 0,3 სმ, d – 3,8 სმ.

დოქის პირ-ყელი (4-994:№586) – მოვარდისფრო, კარგად განლექილი კეცით, ქობიანი პირითა და რელიეფურსარტყლიანი ყელით.

დოქის პირ-ყელი (4-994:№587) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, ყელისგან გამოუყოფელი თხელი, სწორი პირით.

მონეტა (4-994:№588) – სპილენძის. ავერსზე, წრიული ორნამენტოვანი ჩარჩოს ცენტრში გამოსახულია თამარ მეფის ხელრთვა და ასომთავრული ,,დონი“; რევერსზე – ხუთსტრიქონიანი არაბული ზედწერილი.

კრიალოსნის მარცვლები (4-994:№589) – რესტავრირებული, გიშრის, შავი ფერის, სადა, მრგვალგანივკვეთიანი (2 - ერთეული).

ჯამის პირ-ქიმის ფრაგმენტი (4-994:№590) – მოწითალო კეცით, გვერდისგან მკვეთრად გამოყოფილი ქიმითა და მომრგვალებული, სწორი პირით.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№591) – მოვარდისფრო კეცით, მომრგვალებული პირით, მოწერნაქებული.

დოქის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№592) – აგურისფერი კეცით, გამოყოფილი დაბალი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. ძირის d – 6,5 სმ.

ქილის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№593) – აგურისფრი კეცითა და სადა ზედაპირით.

დოქის პირ-ყელი (4-994:№594) – აგურისფერი, წვრილმინარევებიანი კეცით, სამტუჩა პირით. ყელზე ნაჭდევებიანი სარტყელი შემოუყვება.

დოქის პირ-ყელი (4-994:№595) – მოვარდისფრო, სუფთა სტრუქტურის კეცით, ბრტყელბაკოიანი, გადაშლილი პირით, მოწერნაქებული.

დოქის პირ-ყელი (4-994:№596) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, ბრტყელბაკოიანი, გადაშლილი პირითა და ქობიანი ყელით.

თეფშის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№597) – ფაიანსის, ნასვრეტოვანი, თეთრი კეცით, ორმხრივ ანგობირებული და კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული. შიდაპირზე გამოყვანილია მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№598) – მოწითალო კეცით, მაღალი, გაშლილი კალთითა და სწორი პირით, ორმხრივ მოწერნაქებული.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№599) – რუხი ფერის კეცით. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული მცენარეული ორნამენტი შემკულია მწვანე საღებავით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

დოქის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№600) – ჩალისფერი, კარგად განლექილი თხელი კეცით, გამოყოფილი, დაბალი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. გვერდზე გამოყვანილია კანელური. ქ. h – 0,3 სმ.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№601) – მოწითალო კეცით. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტი შემკულია ღვიძლისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

დოქის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№602) – ჩალისფერი კეცით, გამოყვანილი, დაბალი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. ქ. h – 0,5 სმ.

დოქის ყელისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№603) – ვარდისფერი, კარგად განლექილი კეცით. ზედაპირზე წითელი საღებავით გეომეტრიული ორნამენტია მოხატული.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№604) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით. ზედაპირზე გამოყვანილი კოპი დაფერილია წითელი საღებავით.

დოქის ყელ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№605) – ჩალისფერი, წვრილმინარევებიანი კეცით. მხარზე ამოკაწრულია ზიგზაგისებური ორნამენტი.

ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№606) – აგურისფერი კეცით, დაბალი ყელითა და გარეთ გადაშლილი პირით, მოწერნაქებული.

დოქის ყური (4-994:№607) – ჩალისფერი კეცით, ბრტყელგანივკვეთიანი. მირჩილული აქვს მეჭეჭი.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№608) – ჩალისფერი კეცით. მხარზე წითელი საღებავით გეომეტრიული ორნამენტია გამოყვანილი. მუცელზე შემოუყვება ჩაღარული სარტყელი.

დოქის ყელისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№609) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით. ყელი წრიული ჩანაღარით გადადის ჭურჭლის მხარში.

დოქის პირ-ყელი (4-994:№610) – ჩალისფერი, თხელკედლიანი, კარგად განლექილი კეცით, მაღალი ყელითა და ოდნავ გადაშლილი პირით.

დოქის ყელ-ყური (4-994:№611) – მოვარდისფრო, კარგად განლექილი კეცით, მაღალი ყელითა და პირზე მირჩილული ოვალურგანივკვეთიანი ყურით, მოწერნაქებული.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№612) – აგურისფერი კეცით, დაბალი ქიმითა და სწორი პირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრულია მარყუჟებიანი ორნამენტი. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№613) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე გამოყვანილი ორნამენტი, მოხატულია ყავისფერი საღებავით.

თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№614) – აგურისფერი კეცითა და რელიეფურად გამოყოფილი ბრტყელი პირით, მოწერნაქებული.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№615) – აგურისფერი კეცით. შიდაპირზე შიშველ კეცზე ჩამოღვენთილია მწვანე საღებავის ზოლები. გადავლებული აქვს ყავისფერი ჭიქური.

ჭიქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№616) – მინის, იისფერი, გამჭვირვალე, სქელკედლიანი. გარეპირზე გამოყვანილია რელიეფური რომბები.

ჭიქის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№617) – მინის, იისფერი, გამჭვირვალე, სქელკედლიანი. სწორი პირი კედლისაგან ფართო, რელიეფური სარტყლითაა გამოყოფილი. გვერდი ორნამენტირებულია გრძივი, ჩაღარული ზოლებით.

კოკის პირ-ყელის ფრაგმენტი (4-994:№618) – აგურისფერი კეცით, ფართო, დაბალი ყელითა და სწორი პირით.

კოკის პირის ფრაგმენტი (4-994:№619) – აგურისფერი კეცით, მასიური, ტუჩიანი.

ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№620) – მინის, მოლისფერი, გამჭვირვალე, თხელკედლიანი, გარეპირზე გამოყვანილია რელიეფური კოპი.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№621) – მოვარდისფრო კარგად განლექილი კეცით, დაბალი ქიმითა და მრგვალბაკოიანი სწორი პირით. ქიმი თანაბრად გადადის დაბალკალთიან გვერდში.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№622) – კარგად განლექილი აგურისფერი კეცით, მოწერნაქებული.

ქვაბ-ქოთნის ყური (4-994:№623) – აგურისფერი, მინარევებიანი კეცით, სამკუთხა ფორმის. შემკულია ნაჭდევებიანი ორნამენტით.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№624) – აგურისფერი კეცით, პირმოყრილი. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე მწვანე საღებავით ორი პარალელური ზოლია გამოყვანილი.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№625) – აგურისფერი კეცით, ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე ყავისფერი საღებავით გეომეტრიული ორნამენტია გამოყვანილი, გარეპირს დაუყვება ჩამოღვენთილი ზოლები. ორმხრივ გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის პირ-ქიმის ფრაგმენტი (4-994:№626) – აგურისფერი კეცით, ბაკოიანი, მცირედ გადაშლილი პირით. ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული ორნამენტი გახალისებულია მწვანე და ყავისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№627) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრულია გეომეტრიული ორნამენტი. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№628) – აგურისფერი კეცით. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტი გახალისებულია მწვანე და ყავისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჭრაქის ყური (4-994:№629) – აგურისფერი კეცით. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური.

დერგის ყურის ფრაგმენტი (4-994:№630) – მოვარდისფრო კეცით, მრგვალგანივკვეთიანი. ზედაპირზე დაუყვება ნაჭდევებიანი, ზიგზაგისებური ორნამენტი.

დერგის ყურის ფრაგმენტი (4-994:№631) – მოწითალო კეცით, ბრტყელგანივკვეთიანი. ზედაპირზე დაუყვება დაკეჭნილი, რელიეფური ზოლი.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№632) – აგურისფერი კეცით, ორმხრივ ანგობირებული და უფერო ჭიქურით დაფარული. ჯამის გარეპირზე ამოკაწრულია ნუსხური – ***ლ***.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№633) – აგურისფერი კეცით. თეთრად ანგობირებულ ზედაპირზე გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№634) – აგურისფერი კეცით. გარეპირს შემოუყვება წიწვოვანორნამენტიანი სარტყელი.

ქოთნის პირ-ყელის ფრაგმენტი (4-994:№635) – რუხი კეცით, ბრტყელბაკოიანი, გადაკეცილი პირით. ყელს შემოუყვება ნაჭდევებიანი ქობა.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№636) – აგურისფერი კეცით, ბრტყელბაკოიანი, სწორი პირითა და დამრეცი კალთით.

ქოთნის სარქვლის ფრაგმენტი (4-994:№637) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით. ბრტყელ, ნასვრეტოვან ზედაპირს შემოუყვება ჩაღარული, წრიული ზოლი.

აგურის ფრაგმენტი (4-994:№638) – მოწითალო კეცით. ზედაპირზე გამოყვანილია ნაკაწრი ხაზებისგან შედგენილი სარტყელი. დამზადებულია ყალიბში.

წიდა (4-994:№639) – ჭიქურის.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№640) – მოწითალო კეცით, ორმხრივ ანგობირებული. შიდაპირზე ყავისფერი საღებავით გამოყვანილია წერტილოვანი „ვარდული“. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

თეფშის ფრაგმენტი (4-994:№641) – ფაიანსის, თეთრკეციანი. ორმხრივ კობალტის ლურჯი საღებავითა და ლუსტრით გეომეტრიულ – ყვავილოვანი ორნამენტია მოხატული. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

წალდი (4-994:№642) – რკინის, დამზადებულია ჭედვის წესით. პირის სიგრძე –16 სმ, ტარის სიგრძე –13 სმ.

წიგნის ყდის გარსაკრავი (4-994:№643) – სპილენძის, გრძივი ფორმის, კიდემომრგვალებული. შემკულია რელიეფური ზოლებისგან შედგენილი ორი სარტყლით. დამზადებულია სპილენძის თხელი ფურცლისგან შტამპური წესით. სიგრძე – 21 სმ, სიგანე – 4,5 სმ.

წიგნის ყდის გარსაკრავი (4-994:№644) – სპილენძის, გრძივი ფორმის, კიდეებმომრგვალებული. დამზადებულია სპილენძის თხელი ფურცლისგან შტამპური წესით.

წიგნის ყდის დეკორატიული ფირფიტა (4-994:№645) – სპილენძის, მცენარეულ მოტივში გამოსახულია სტილიზებული რვაქიმიანი სხივური ორნამენტი, ცენტრში – ბურთულოვანი დისკოთი. დამზადებულია სპილენძის თხელი ფურცლისგან შტამპური წესით.

კანკელის ორნამენტის ფრაგმენტი (4-994:№646) – ხე, ვაზის ფოთლის ჩუქურთმა დაფარული ლევკასით და დაფერილი ოქრათი.

კანკელის ორნამენტის ფრაგმენტი (4-994:№647) – ხე, ვაზის ფოთლის ჩუქურთმა დაფარულია ლევკასით და დაფერილი ოქრათი.

წიგნის ყდის დეკორატიული ფირფიტა (4-994:№648) – სპილენძის, გამოსახულია რელიეფური მცენარეული ორნამენტი. დამზადებულია სპილენძის თხელი ფურცლისგან შტამპური წესით.

უნაგირის ფრაგმენტი (4-994:№649) – სპილენძის, ზედაპირზე დაუყვება გრძივი, ოთხი ჩაღარული ზოლი. დამზადებულია ყალიბში.

უნაგირის ფრაგმენტი (4-994:№650) – სპილენძის, დამზადებულია ყალიბში.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№651) –კარგად განლექილი, აგურისფერი კეცით, მომრგვალებული პირითა და თანაბრად გაშლილი კალთით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ჩამოღვენთილია ყვითელი და ყავისფერი საღებავები. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№652) – აგურისფერი კეცით, პირმოყრილი, მაღალკალთიანი.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№653) – აგურისფერი კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული ძირით, მოწერნაქებული. ქ. d – 7,5 სმ.

ჭურჭლის ფრაგმენტი (4-994: №654) – მინის, მოვარდისფრო, გამჭვირვალე, სქელკედლიანი. გარეპირზე გამოყვანილია რელიეფური ორნამენტი.

სამეურნეო ნივთის ფრაგმენტი (4-994:№655) – რკინის, წრიული ფორმის, სავარცხლისებური კბილანებით.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№656) – აგურისფერი კეცით, გამოყვანილი მაღალი, ვიწრო ქუსლითა და ჩაღარული, კოპიანი ძირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. ქუსლის d – 7 სმ, ქ. h – 1,2 სმ.

ქოთნის პირ-გვერდი (4-994:№657) – რუხი ფერის, მინარევებიანი კეცით, პირმოყრილი, დაბალი ყელით.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№658) – ფაიანსის, თეთრი, ნასვრეტოვანი კეცით. ზედაპირზე კობალტის ლურჯი საღებავით ორნამენტია გამოყვანილი. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჭურჭლის ძირი (4-994:№659) – რუხი ფერის, სქელკედლიანი, მინარევებიანი კეცითა და ბრტყელი ძირით, ორმხრივ შავი ფერის მასით (ნავთობი ?) არის დაფარული.

თეფშის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№660) – ფაიანსის, მოთეთრო კეცით, თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულია მცენარეული ორნამენტი. ორმხრივ გადავლებული აქვს უფერო ჭიქური – გარეპირზე ლურჯ ფონზე.

თეფშის ფრაგმენტი (4-994:№661) – ფაიანსის, მოთეთრო კეცით. თეთრად ანგობირებული შიდაპირი მოხატულია კობალტის ლურჯი საღებავით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქურით.

ქვაბ-ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№662) – აგურისფერი კეცით, ბრტყელბაკოიანი, გადაკეცილი პირით, გარეპირს შემოუყვება დაკენჭილი რელიეფური ზოლი. მირჩილული აქვს ორი ორნამენტირებული „კოპი“.

დოქის ყურის ფრაგმენტი (4-994:№663) – ფაიანსის, თეთრი კეცით, ბრტყელგანივკვეთიანი. ზედაპირზე გამოყვანილია რელიეფური ორნამენტი. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური.

სარკმლის ფრაგმენტი (4-994:№664) – მინის, თხელკედლიანი, დეკორატიული. გარეპირი შემკულია ლურჯად.

თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№665) – ფაიანსის, თეთრი ფერის, ნასვრეტოვანი კეცით, გვერდისგან გამოყოფილი, ფართოდ გადაშლილი პირით. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულია გეომეტრიული და ყვავილოვანი ორნამენტი. ორმხრივ გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№666) – ფაიანსის, თეთრი კეცით. სფერულ ზედაპირზე რეზერვაციის ხერხით გამოყვანილი ორნამენტი შემკულია ყავისფერი საღებავით. ორმხრივ გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

სატევრის ტარის ფრაგმენტი (4-994:№667) – რკინის, მასიური, ირიზებული.

ნივთი (4-994:№668) - სპილენძის, ორკაპა, ირიზებული.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№669) – მოწითალო კეცით, გამოყოფილი ქუსლითა და ჩაღარული ძირით. შიდაპირზე შიშველ კეცზე ცისფერი საღებავით გამოყვანილია ორნამენტი. გადავლებული აქვს რძისფერი ჭიქური. ქუსლის d – 6,5 სმ, ქ. h – 1 სმ.

ქილის ძირ-ქუსლი (4-994:№670) – მოვარდისფრო კეცით, რელიეფურად გამოყოფილი, ბრტყელძირიანი ქუსლით. ქ. d – 7,5 სმ, ქ. h – 1 სმ.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№671) – მინიატიურული, მოწითალო, წვრილმინარევებიანი კეცით, რელიეფურად გამობერილი მუცლით. ზედაპირზე გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური.

ჩაფის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№672) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, სწორი, ქობიანი პირითა და ფართო ყელით.

წიდა (4–994:№673) – რკინის.

ჭინჭილის ყურის ფრაგმენტი (4-994:№674) – ჩალისფერი, კარგად განლექილი თხელი კეცით, ბრტყელგანივკვეთიანი.

ჭურჭლის თავსახური (4-994:№675) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, მრვალგანივკვეთიანი სახელურით, დეკორატიული ორნამენტით შემკული კედლით.

ჯამის პირ-ქიმის ფრაგმენტი (4-994:№676) – აგურისფერი კეცით, პირმოყრილი, ორმხრივ ყვითლად ანგობირებული. მოხატულია ყავისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№677) – მოწითალო კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული, ბრტყელი ძირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე სგრაფიტოს წესით გამოსახული ფრინველი (თავი, ყელი, ფრთა) შემკულია ყავისფერი და მწვანე საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური. ქ. d – 7 სმ, ქ. h – 1 სმ.

კოკის ყური (4-994:№678) – აგურისფერი კეცით, მასიური, ბრტყელგანივკვეთიანი.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№679) – აგურისფერი კეცით, გადაშლილი კალთით, მკვეთრად გამოყოფილი ქიმითა და უქუსლო, ბრტყელი ძირით. ძირის d – 5 სმ.

თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№680) – მოწითალო, აგურისფერი კეცით, გვერდისგან რელიეფურად გამოყოფილი, გადაშლილი პირით, მოწერნაქებული.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№681) – აგურისფერი კეცით, სწორი პირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრულია ე.წ. დავითის ფარი. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური. გარეპირზე, კალათზე ამოკაწრულია ნუსხური – ***ლ***.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№682) – მოწითალო აგურისფერი კეცით, მაღალი ქიმითა და სწორბაკოიანი პირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე – ქიმთან ამოკაწრულია სამკუთხედში ჩასმული მარყუჟები. გადავლებული აქვს ცისფერი კრიალა ჭიქური.

ჭურჭლის ფრაგმენტი (4-994:№683) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, ზედაპირზე რელიეფური კოპი აქვს გამოყვანილი, ირიზებული.

კოკის ყური (4-994:№684) – ჩალისფერი კარგად განლექილი კეცით, მასიური, ბრტყელგანივკვეთნი.

ჯამის პირ-გვერდისა და ძირ-ქუსლის ფრაგმენტი (4-994:№685) – მოწითალო კეცით, პირმოყრილი, გაშლილი კალთით, დაბალი, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული, ბრტყელი ძირით. ორმხრივ გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური. ქ. d – 8 სმ, ქ. h – 0,6 სმ.

თეფშის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი (4-994:№686) – ფაიანსის, თეთრი კეცით, გამოყოფილი ქუსლითა და ჩაღარული ძირით. შიდაპირზე კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულია მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№687) – მოვარდისფრო კეცით, რელიეფურად გამოყოფილი, ბრტყელბაკოიანი, გადაშლილი პირით, შიდაპირმოწერნაქებული.

თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№688) – მოვარდისფრო კეცით, რელიეფურად გამოყოფილი, გადაშლილი პირით, შიდაპირმოწერნაქებული.

თეფშის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი (4-994:№689) – ფაიანსის, თეთრი, სქელკედლიანი კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული, ბრტყელი ძირით. ორმხრივ მოხატულია კობალტის ლურჯი საღებავით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

შორენკეცის ფრაგმენტი (4-994:№690) – აგურისფერი, მინარევებიანი კეცით, სქელკედლიანი. ზედაპირზე რელიეფური ჯვარია (მკლავი) გამოყვანილი. გადავლებული აქვს რძისფერი ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№691) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული რტოყლორტოვანი ორნამენტი გახალისებულია მწვანე, ყავისფერი და ყვითელი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№692) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტი გახალისებულია მწვანე საღებავით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№693) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრულია გეომეტრიული ორნამენტი. გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№694) – აგურისფერი კეცით, მაღალი ქიმით, პირმოყრილი. გარეპირზე, ქიმთან შემოუყვება წრიული, რელიეფური ზოლები.

ლამპრის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№695) – მინის, ჭაობისფერი, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, მრგვალგანივკვეთიანი კედლითა და მომრგვალებული, ჩასადგმელი ძირით.

ლამპრის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№696) – მინის, ჭაობისფერი, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, მრგვალგანივკვეთიანი კედლითა და მომრგვალებული, ჩასადგმელი ძირით.

თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№697) – აგურისფერი კეცით, გვერდისგან რელიეფურად გამოყოფილი, გადაშლილი პირით, მოწერნაქებული.

ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№698) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, ირიზებული.

ჯამის ძირ–ქუსლი (4-994:№699) – მოწითალო კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული, კოპიანი ძირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული ვარდული შემკულია მწვანე და ყავისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ვაზის გვერდის ფრაგმენტები (4-994:№700) – ფაიანსის, თეთრი ნასვრეტოვანი კეცით, ფიგურული ზედაპირი ლუსტრით არის მოხატული - შემკული ორნამენტულ ფონზე წარმოდგენილი ქალის სახით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჭურჭლის პირ - ყურისა და ძირ-გვერდის ფრაგმენტები (4-994:№701) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, შესქელებული, სწორი პირითა და მრავალგანივკვეთიანი ყურით, შეზნექილი, მრგვალი ძირით.

ქოთნის ყური (4-994:№702) – რუხი ფერის, მინარევებიანი კეცით, ბრტყელი, მოკლე ყურით.

ქილის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№703) – აგურისფერი კეცით, პირმოყრილი, დაბალი, ფართო ყელით.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№704) – მოწითალო კეცით, მხართან შემოუყვება ნაკაწრი ზიგზაგისებურხაზიანი, მოწერნაქებული სარტყლები.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№705) – მოწითალო კეცით. ზედაპირზე გამოყვანილია რელიეფური კოპი. დაუყვება გრძივი, გაცვილული ზოლები.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№706) – მოწითალო კეცით. ზედაპირზე გამოყვანილია წიწვოვანი ორნამენტი. მოწერნაქებული.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№707) – მოწითალო კეცით, შიდაპირზე შიშველ კეცზე თეთრი ანგობით მოხატულ ორნამენტზე გაღვრილია ღვიძლისფერი საღებავი. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

დოქის პირ-ყელის ფრაგმენტი (4-994:№708) – მოვარდისფრო, კარგად განლექილი კეცით, დაბალი ყელითა და გადაშლილი, თხელი პირით.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№709) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით. შემორჩენილი აქვს კანელურის ფრაგმენტი.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№710) – ფაიანსის, მოთეთრო, ნასვრეტოვანი კეცით, ორმხრივ ანგობირებული და ცისფრად მოჭიქული.

დოქის პირ-ყელის ფრაგმენტი (4-994:№711) – ჩალისფერი, კარგად განლექილი, თხელკედლიანი კეცით. ყელი თანაბრად გადადის შეთხელებულ, სწორი ფორმის პირში.

ჭინჭილის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№712) – ჩალისფერი, კარგად განლექილი თხელკედლიანი კეცით. გარეპირი მოხატულია შავი და წითელი საღებავებით.

ლუთერის პირ-გვერდის ფრაგმენტები (4-994:№713-715) – აგურისფერი, მინარევებიანი კეცით, სწორი პირითა და გაშლილი გვერდით. გარეპირზე მირჩილული აქვს რელიეფური მეჭეჭები.

ჭურჭლის ყელის ფრაგმენტი (4-994:№716) – მინის, თეთრი ფერის, გამჭირვალე. შემოუყვება რელიეფური სარტყლები, ირიზებული.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№717) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრულია მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№718) – აგურისფერი კეცით, დაბალი ქიმით, ბაკოიანი, გადაშლილი პირით. ყვითელი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული ორნამენტი შემკულია მწვანე და ყავისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№719) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული ორნამენტი შემკულია მწვანე და ყავისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

კრამიტის ფრაგმენტები (4-994:№720) – ბორტებიანი, აგურისფერი, მსხვილმინარევებიანი კეცით. დამზადებულია ყალიბში. ბორტის სიმაღლე – 5 სმ, კეცის სისქე 2-2,5 სმ.

კრამიტის ფრაგმენტი (4-994:№721) – ღარიანი, აგურისფერი, მინარევებიანი კეცით. ზედაპირზე დაუყვება რელიეფური ზოლები. კეცის სისქე 2 – 2,5 სმ.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№722) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით. პარალელური ხაზებისაგან შედგენილ სარტყელში ზიგზაგისებური ზოლია ამოკაწრული.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№723) – აგურისფერი, არასრულად გამომწვარი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრულია გეომეტრიული ორნამენტი. გარეპირზე გამოყვანილია ხელოსნის ნიშანი. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

თეფშების პირისა და ძირ-ქუსლის ფრაგმენტები (4-994:№724-726) – ფაიანსის, თეთრი კეცით, რელიეფური, გადაშლილი პირით, გამოყოფილი ქუსლითა და ჩაღარული ძირით. შიდაპირებზე კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულია სტილიზებული გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტი. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ვაზის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№727) – ფაიანსის, თეთრი ფერის, სქელკედლიანი კეცით, ორმხრივ კობალტის ლურჯი საღებავით სტილიზებული მცენარეული ორნამენტია მოხატული. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ლამპრის ძირი (4-994:№728) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, სქელკედლიანი, მომრგვალებული, ჩასადგმელი ძირით.

დოქის ყურისა და ყელის ფრაგმენტი (4-994:№729) – აგურისფერი კეცით, ნაჭდევებით ორნამენტირებული ყელითა და რელიეფურზოლიანი, ბრტყელგანივკვეთიანი ყურით.

ჩიბუხის პირ-გვერდისა და ტარის ფრაგმენტი (4-994:№730) – რუხი კეცით, თანაბრად გამობერილი სათუთუნე ნაწილით, მაღალკედლიანი, ნაჭდევი ხაზებით ორნამენტირებული სწორი პირით, მოწერნაქებული.

თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№731) – ფაიანსის, თეთრი კეცით, ორმხრივ ანგობირებული და ცისფრად მოჭიქული.

ქვევრის პირ-ყელის ფრაგმენტი (4-994:№732) – აგურისფერი კეცით, მასიური, ბრტყელბაკოიანი პირით.

თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№733) – აგურისფერი კეცით, რელიეფურად გამოყოფილი, ფართოდ გადაშლილი პირით, შიდაპირ-მოწერნაქებული.

დოქის ყურის ფრაგმენტი (4-994:№734) – მოვარდისფრო კეცით, ოვალურგანივკვეთიანი. გარეპირზე დაუყვება რელიეფური, გრძივი ზოლი.

ჭინჭილის პირ-გვერდისა და ყელის ფრაგმენტები (4-994:№735-736) – ჩალისფერი, თხელკედლიანი კეცით, მხრისგან ჩაღარული ზოლით გამოყოფილი ყელით.

დოქის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№737) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, დაბალი ყელითა და სწორი პირით.

დოქის ძირ-ქუსლისა და გვერდის ფრაგმენტები (4-994:№738) – მინიატიურული, ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, გამოყოფილი, დაბალი ქუსლითა და ბრტყელი ძირით.

ჯამის პირ-ქიმისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№739) – რუხი კეცით, გვერდისგან წიბოთი გამოყოფილი ქიმითა და მრგვალბაკოიანი, სწორი პირით.

ქილის გვერდისა და პირის ფრაგმენტი (4-994:№740) – მოწითალო, კარგად განლექილი კეცით, ბრტყელბაკოიანი, გადაშლილი პირით. გადავლებული აქვს ჭაობისფერი ჭიქური.

ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (4-994:№741) – მინის, იისფერი, გამჭვირვალე, სქელკეციანი, ოვალურგანივკვეთიანი, შუაში გრძივი ჩაღარული ზოლით.

მილის ფრაგმენტი (4-994:№742) – აგურისფერი კეცით, მრგვალგანივკვეთიანი. d – 3,5 სმ.

დოქის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№743) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, გამოყოფილი, დაბალი ქუსლითა და ბრტყელი ძირით.

დოქის ყურის ფრაგმენტი (4-994:№744) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, ბრტყელგანივკვეთიანი.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№745) – აგურისფერი, წვრილმინარევებიანი კეცით, მრგვალბაკოიანი, სწორი პირით.

წიდა (4-994:№746) – რკინის.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№747) – აგურისფერი კეცით, სწორი პირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრულია ე.წ. დავითის ფარი. გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური.

დოქის პირ-ყელი (4-994:№748) – აგურისფერი კეცით, ყელისგან გამოყოფილი, მომრგვალებული პირითა და ოვალურგანივკვეთიანი ყურით.

ჯამის პირ-ქიმის ფრაგმენტი (4-994:№749) – აგურისფერი კეცით, მაღალი ქიმითა და ბრტყელბაკოიანი პირით. გარეპირს შემოუყვება რელიეფური, წრიული ზოლი. მოწერნაქებული.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№750) – მოვარდისფრო, მინარევებიანი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე გადავლებული აქვს მოლისფერი ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№751) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური.

დოქის ძირ-ქუსლი (4-994:№752) – მინიატიურული, აგურისფერი კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ბრტყელი ძირით, შეინიშნება ცისფერი ჭიქურის კვალი.

ჯამის პირ-ქიმის ფრაგმენტი (4-994:№753) – აგურისფერი კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული ძირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული სხივური ზოლები შემკულია მწვანე, ყვითელი და ყავისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№754) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტი შემკულია ყვითელი საღებავით. გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№755) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული გეომეტრიული ორნამენტი შემკულია მწვანე, ყვითელი და ყავისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

სამარილის ძირ-ქუსლი (4-994:№756) – აგურისფერი კეცით, გამოყოფილი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე გადავლებული აქვს ცისფერი ჭიქური. ქუსლის d – 4,5 სმ.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№757) – აგურისფერი კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული ძირით. შიდაპირზე შიშველ კეცზე თეთრი საღებავით გამოყვანილია მრავალკუთხედი და მედალიონი; მედალიონი ყავისფერი საღებავით ოთხკუთხედებადაა დაყოფილი და მწვანე საღებავის ხალებით არის გახალისებული. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

კარების საკიდი (4-994:№758) – რკინის, ბრტყელი, ოთხკუთხა ფორმის, კაუჭითა და ორი სამანჭვლე ნახვრეტით.

კარების საკეტი რგოლი (4-994:№759) – რკინის, სადა, წრიული.

დოქის პირ-ყელის ფრაგმენტი (4-994:№760) – მინიატიურული, ჩალისფერი, თხელკედლიანი კეცითა და ყელისგან გამოყოფილი თხელი პირით. ზედაპირზე შემოუყვება ზიგზაგისებური და წრიული ნაკაწრები.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№761) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ამოკაწრული ორნამენტი, გახალისებულია მწვანე და ყავისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№762) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე ორნამენტის შესაქმნელად გამოყენებულია სგრაფიტოსა და რეზერვაციის ხერხი – ამოკაწრულია წრიული ხაზები, ქიმთან ამოკვეთილია თოკისებური ორნამენტი. შიდაპირი შემკულია ყავისფერი საღებავის სარტყლებით, ანგობირებული გარეპირი – პარალელური ზოლებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№763) – აგურისფერი კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული, კოპიანი ძირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე მწვანე ჭიქუროვანი საღებავით გამოყვანილია ე.წ. სვასტიკა. ჯამი მოუჭიქავია (იმიტაცია).

თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№764) – აგურისფერი კეცითა და გვერდისგან რელიეფურად გამოყოფილი, გადაშლილი პირით, მოწერნაქებული.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№765) – აგურისფერი კეცით. ზედაპირზე ცისფერი ჭიქური აქვს გადავლებული.

დოქის ყურის ფრაგმენტი (4-994:№766) – აგურისფერი კეცით, მოწერნაქებული.

ჭიქის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№767) – მინის, იისფერი, გამჭვირვალე, სადა, მრგვალი გვერდითა და შუაში ჩაღარული ძირით.

ჯამის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი (4-994:№768) – აგურისფერი კეცით, გამოყვანილი ქუსლითა და ჩაღარული ძირით.

წიდა (4 – 994:№769) – ჭიქურის.

დოქის პირ-ყელის ფრაგმენტი (4-994:№770) – მინიატიურული, მოვარდისფრო, კარგად განლექილი კეცით, დაბალი, ფართო ყელითა და ოდნავ გადაშლილი პირით.

თეფშის პირის ფრაგმენტი (4-994:№771) – აგურისფერი კეცით, სწორი პირით, ორმხრივ ანგობირებული და მწვანე საღებავით მოხატული.

თეფშის პირის ფრაგმენტი (4-994:№772) – ფაიფურის, თეთრი კეცით, რელიეფურად გამოყოფილი, გადაშლილი პირით. შიდაპირი მოხატულია კობალტის ლურჯი საღებავით. ორმხრივ გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

კოკის პირ-ყელისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№773) – ჩალისფერი კეცით, დაბალი, ფართო ყელითა და ქობიანი პირით.

ჭიქა (4-994:№774) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, სწორი პირით, შვეული, დაკუთხული კედლისგან გამოყოფილი წრიული, ბრტყელი ძირით. ჭიქის სიმაღლე – 9 სმ, ძირის d – 6,5 სმ.

სამედიცინო ჭურჭელი (4-994:№775) – მინის, თეთრი ფერის, გამჭირვალე, მაღალი ყელით, ბრტყელბაკოიანი პირით, სწორკუთხა ფორმის გვერდითა და ბრტყელი, შუაში ჩაღარული ძირით. კედელზე რელიეფური სიმბოლოები, ლათინური და რუსულენოვანი წარწერებია გამოყვანილი.

სამედიცინო ნივთი (4-994:№776) – მინის, თეთრი ფერის, გამჭვირვალე, მრგვალგანივკვეთიანი, სინჯარისებური ფორმის სითხის სათავსითა და რგოლისებრი (ლურჯი მინა) დაბოლოების სატუმბავი ღეროთი.

ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№777) – მინის, თეთრი ფერის, გამჭირვალე, შვეული, მრგვალგანივკვეთიანი კედლით, გამოუყოფელი, შუაში ჩაზნექილი ძირით.

ჭიქის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№778) – მინის, თეთრი ფერის, გამჭირვალე, გვერდისგან გამოუყოფელი, ჩაღარული, ბრტყელი ძირითა და შვეული, დაკუთხული კედლით.

ჯამის ძირ-ქუსლი (4-994:№779) – აგურისფერი კეცით, გამოყოფილი დაბალი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე გადავლებული აქვს მწვანე ჭიქური (წუნი). ქუსლის d –7 სმ.

ჯამის პირ-გვერდი (4-994:№780) – აგურისფერი კეცით, გაშლილი კალთითა და ჩაღარულბაკოიანი პირით, მოწერნაქებული.

ფიალა (4-994:№781) – მოწითალო კეცით, გაშლილი კალთით, გამოყვანილი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. შიდაპირზე მწვანე საღებავით მოხატულ ჯვრის მკლავებში გამოყვანილია ტეხილი ხაზები. გადავლებილი აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის პირის ფრაგმენტი (4-994:№782) – აგურისფერი კეცით, ქიმითა და სწორი პირით.

თეფშის პირისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№783) – აგურისფერი კეცით, რელიეფური, გადაშლილი პირითა და გაშლილი კალთით.

კოკის ყური (4-994:№784) – აგურისფერი კეცით, ოვალურგანივკვეთიანი, მოწერნაქებული.

დოქის ყურისა და ყელის ფრაგმენტი (4-994:№785) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, ოვალურგანივკვეთიანი ყურითა და დაბალი, ფართო ყელით.

თეფშის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№786) – ფაიანსის, თეთრი, ნასვრეტოვანი კეცით, გვერდისგან რელიეფურად გამოყოფილი, გადაშლილი პირით, კობალტის ლურჯი საღებავით მოხაული. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის ძირ-ქუსლის ფრაგმენტი (4-994:№787) – აგურისფერი კეცით, გამოყოფილი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. ყვითელი ანგობით დაფარულ შიდაპირზე შეინიშნება მწვანე საღებავის კვალი. ორმხრივ გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

დოქის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№788) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, მრგვალი მუცლით. ყელზე დაუყვება რელიეფური ზოლები. გადავლებული აქვს ყავისფერი ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№789) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარულ შიდაპირზე რეზერვაციის ხერხით გამოყვანილი თოკისებური ორნამენტი, შემკულია ყავისფერი საღებავით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№790) – აგურისფერი კეცით, სწორი პირით. შიდაპირზე ცისფერი საღებავით მცენარეული ორნამენტია გამოყვანილი. გადავლებული აქვს რძისფერი ჭიქური.

ასტამი (4-994:№791) – რკინის, გრძივი, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი და ბტყელი, საფხეკი ნაწილით.

კარების საკეტი (4-994:№792) – რკინის, ბრტყელი ფორმის, კაუჭიანი ღეროთი და სასამსჭვლე ნახვრეტით.

ჯამის პირ-ქიმის ფრაგმენტი (4-994:№793) – აგურისფერი კეცით, დაბალი ქიმითა და მრგვალბაკოიანი პირით. შიდაპირზე შიშველ კეცზე თეთრი, მწვანე და ღვიძლისფერი საღებავებით ორნამენტია გამოყვანილი. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

წიდა (4-994:№794) – რკინის.

ჭურჭლის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№795) – მინის, თეთრი ფერის, მასიური, რელიეფური ქუსლითა და ბრტყელი ძირით.

დოქის ყურისა და გვერდის ფრაგმენტი (4-994:№796) – ჩალისფერი, კარგად განლექილი კეცით, მრგვალი მუცლითა და ოვალურგანივკვეთიანი ყურით.

საეკლესიო ჭურჭელი (4-994:№797) – სპილენძის, სწორი პირით, სადა, დამრეცი გვერდით, გამოყოფილი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. ჭურჭლის სიმაღლე – 5,8 სმ., ძირის d – 4,5 სმ, პირის d - 9 სმ.

საეკლესიო ჭურჭელი (4-994:№798) – სპილენძის, წრიული, რელიეფური ზედაპირით. დამზადებულია სპილენძის თხელი ფურცლისგან შტამპური წესით.

თეფში (4-994:№799) – რკინის, გვერდისგან რელიეფურად გამოყოფილი, ფართოდ გადაშლილი პირით, ირიზებული.

დოქის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№800) – აგურისფერი კეცით, ოდნავ გამოყოფილი ქუსლითა და ბრტყელი ძირით. ზედაპირზე შემოუყვება ჩაღარული, ფართო ზოლები. მოწერნაქებული.

ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№801) – მოთეთრო, კარგად განლექილი კეცით. გარეპირს შემოუყვება ორნამენტირებული სარტყელი. ორმხრივ გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ლამპრის ნაწილი (4-994:№802) – სპილენძის, წრიული, რელიეფური ზედაპირით.

ქვა (4-994:№803) – რუხი ფერის. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

დოქის ძირ-გვერდის ფრაგმენტი (4-994:№804) – მოვარდისფრო კეცით, დაბალი, გამოყოფილი ქუსლითა და ბრტყელი ძირით.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№805) – აგურისფერი კეცით. თეთრი ანგობით დაფარული შიდაპირი მოხატულია მწვანე და ღვიძლისფერი საღებავებით. გადავლებული აქვს უფერო ჭიქური.

ჯამის გვერდის ფრაგმენტი (4-994:№806) – მოვარდისფრო კეცით. თეთრად ანგობირებულ შიდაპირზე დაუყვება რელიეფური ზოლები. ორმხრივ ლურჯად მოჭიქული.

